პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 71 (12279)
შაბათი,
24
მარტი
1962 წ.
გამოცემის 42-ე წელი

ფასი 2 კაპ.

უკარასკნელი ცნობები

უპატაკებენ სამშობლოს

წულუკიძე. (საკ. კორ.). რაიონის მშრომელები წარმატებით ასრულებენ სახელმწიფოსათვის სოფლის მეურნეობის პროდუქტების მიყიდვის გეგმებს. სახელმწიფოს მიეყიდა 43,2 ტონა ტუნგოს ნაყოფი ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 25 ტონისა.

ხორცის მიყიდვის 1962 წლის პირველი კვარტალის გეგმა შესრულებულია 105 პროცენტით, კვერცხისა — 124,4 პროცენტით.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს შექმნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

შეიქმნას საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტრო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ბ. ქოზანიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. გელდიაშვილი

ქ. თბილისი,
1962 წლის 23 მარტი.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების მინისტრად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის ამხ. მ. ი. კუჭავას დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ამხ. **მიტროფანე იონას-ძე კუჭავა** საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების მინისტრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ბ. ქოზანიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. გელდიაშვილი

ქ. თბილისი,
1962 წლის 23 მარტი.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროს გაუქმების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

გაუქმდეს საქართველოს სსრ დამზადების სამინისტრო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ბ. ქოზანიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. გელდიაშვილი

ქ. თბილისი,
1962 წლის 23 მარტი.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ დამზადების მინისტრის მოვალეობისაგან ამხ. დ. მ. მამულაძის განთავისუფლების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

გათავისუფლდეს ამხ. **დავით მიხეილს-ძე მამულაძე** საქართველოს სსრ დამზადების მინისტრის მოვალეობისაგან საქართველოს სსრ. დამზადების სამინისტროს გაუქმების გამო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ბ. ქოზანიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. გელდიაშვილი

ქ. თბილისი,
1962 წლის 23 მარტი.

რასაც დათესავ, იმას მოიმკი

ხალხი ამბობს: გაზაფხულის დღე წელიწადს კვებავსო. მართლაც ასეა. ახლა ყოველი დღე, ყოველი საათი ძვირფასია. რესპუბლიკის თითქმის ყველა სოფელში გაჩაღებულია საგაზაფხულო სამუშაოები. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ამთავითვე უყრიან მტკიცე საფუძველს უხვ მოსავალს.

სოფლის მექანიზატორებს, ყველა კოლმეურნეს, საბჭოთა მეურნეობების მუშაკებს, პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ ორგანიზაციებს, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, სარემონტო საწარმოების ხელმძღვანელებსა და სპეციალისტებს კარგად ახსოვთ პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვის სიტყვები: „მთელი ძალღონე მოახმარონ საგაზაფხულო თესვისათვის ყოველ შომზადებას, კარგად შეაკეთონ ტექნიკა, მოამზადონ თესლი, მეტი დაგროვონ და უკეთ გამოიყენონ ორგანული და მინერალური სასუქები, წარმატებით განახორციელონ საგაზაფხულო თესვა, ნათესების მოვლა, დროზე და უდანაკარგოდ აიღონ მოსავალი“.

პარტიის ამ მითითებით შთაგონებული სოფლის მეურნეობის მუშაკები შრომასა და გამოცდილებას არ იშურებენ იმისათვის, რომ სასახელოდ ჩაატარონ ყველა საგაზაფხულო სამუშაო.

იმ დიდ შრომით აღმავლობასთან ერთად, რომელსაც ამჟამად ადგილი აქვს ჩვენი რესპუბლიკის სოფლებში, შეინიშნება ზოგიერთი კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის მუშაკთა უდარდელობა, შეუწყნარებელი ჩამორჩენა, დროის ფაქტორის უგულებელყოფა. მაგალითად, სახოფლო-სამეურნეო ტექნიკა ჯერ კიდევ სრულ წესრიგში არა აქვთ, სასუქების გამოყენებაზე ნაკლებად ფიქრობენ შუახევის, გეგეჭკორის, ქედისა და სხვა რაიონების კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

თუ ხალხური სიბრძნე — რასაც დათესავ, იმას მოიმკი კარგად გაიგეს გურჯაანის, თელავის, ჩოხატაურის, ხაჩიერის, წყალტუბოს, სამტრედიის, მარნეულისა და სხვა რაიონების ხელმძღვანელებმა და დროულად მოამზადეს თესლი დასათესად, შემოწმებებით დადასტურებულია, რომ ზოგიერთი რაიონის, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებს, სპეციალისტებს გამორჩათ ეს მთავარი საქმე, თავის დროზე არ უფიქრიათ თესლის მომარაგებაზე მის კონდიციამდე აყვანაზე.

ამ მხრივ პირდაპირ სავალალო მდგომარეობაა ახალქალაქის, წალკის, საგარეჯოს, ხაშურის, ჭიათურის, დმანისისა და სხვა რაიონების, აგრეთვე სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

როგორც გამორკვა, ხაშურის რაისაბჭოს აღმასკომმა (თავმჯდომარე გრიგალაშვილი, მოადგილე გვასალია), საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილების საწინააღმდეგოდ, გადაწყვეტილება მიიღო და ალის საბჭოთა მეურნეობას ნება დართო დათესა 800 ცენტნერი უკონდიციო ჭერი, ამასთან ამ რაიონის კოლმეურნეობებში შარშან დაბალხარისხოვანი თესლით დათესეს საშემოდგომო ნათესების 82,9 პროცენტი, ხოლო საბჭოთა მეურნეობებში — 96 პროცენტი. ახლაც ხაშურის რაიონის კოლმეურნეობებში 2.023 ცენტნერი თესლადან 1.494 ცენტნერი უკონდიციოა.

კონდიციური და დაკალიბრებული თესლი რომ ჯანსაღ აღმონაცენს მოგვცემს და მოსავლიანობის გადიდების დედაა, ზოგან არ უნდათ გაიგონ. მაგალითად, მცხეთის რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში 1.337 ცენტნერი სიმინდის სათესლე მასალიდან სინესტის გამო უკონდიციო იყო 1.265 ცენტნერი.

განა შესაწყნარებელია ის ფაქტი, რომ თელავის რაიონის სოფელ კურდღლაურის მეთესლეობის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე გ. ცხადაძე) 200 ცენტნერი სათესლე სიმინდი უკონდიციო იყო სინოტივის გამო, ხოლო ვარდისუბნის კოლმეურნეობის 160 ცენტნერი სათესლე სიმინდიდან სამი პროცენტი ცუდი შენახვის გამო დაავადებულია თეთრათი.

საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროს თელავის ბაზის დირექციამ (დირექტორი ფ. ფეიქრიშვილი, მეთესლე აგრონომი ა. თვალიაშვილი, ლაბორატორიის გამგე მ. მღებრიელი) გასული წლის მოსავლიდან 405 ტონა სათესლე სიმინდის ნაცვლად მხოლოდ 240 ტონა დაამზადა. ბაზაში, სადაც აქვთ სიმინდის საშრობი სავენტილაციო აგრეგატი, ვერ უზრუნველყვეს სათესლე სიმინდის გაშრობა და კონდიციამდე აყვანა.

ასეთი ფაქტები მოუთმენელია, როგორ შეიძლება მიღებულ იქნას მარცვლეულის უხვი მოსავალი, თუ თესლი არ ვარგა, თუ იგი არ არის აყვანილი კონდიციამდე?

ეს ხომ თვალთმაქცობაა, სახელმწიფოს მოტყუებაა, რაც სასტიკად ისჯება.

პარტიის რაიონულმა კომიტეტებმა, რაისაბჭოს აღმასკომებმა, სანამ გვიან არ არის, გადამჭრელი ზომები უნდა მიიღონ იმისათვის, რომ ყველგან დაითესოს მხოლოდ ჯანსაღი, კონდიციამდე აყვანილი თესლი... დროა აღიკვეთოს მავნე პრაქტიკა, როცა კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები თავიდანვე არ ზრუნავენ თესლის მოსამარაგებლად და შემდეგ, ფაქტის წინაშე რომ დადგებიან, თხოულობენ სახელმწიფომ გამოუყოს იგი. ან შუამდგომლობენ დათესონ არაკონდიციური თესლი.

ასეთი ნაკლოვანებები დაუყოვნებლივ უნდა აღმოიფხვრას. ყოველი ღონისძიებით უნდა ვიბრძოლოთ იმისათვის, რომ მომდინარე წელს მივიღოთ უხვი მოსავალი, ვაწარმოოთ რაც შეიძლება მეტი სოფლის მეურნეობის პროდუქტები, შევქმნათ კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

ქალიშვილი გაზალეთიდან

დუშეთის რაიონი. სოფელ ბაზალეთის კალინინის სახელობის კოლმეურნეობაში დაიწყო სიმინდის თესვა, რომელიც აქ დაიკავებს 500 ჰექტარს. ბაზალეთელებმა წელს ვალდებულება აიღეს 400 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიწიონ საშუალოდ 40 ცენტნერი სიმინდის მარცვალი, დანარჩენი 100 ჰექტარი კი გამოიყენონ სასილოსე მასის მისაღებად.

არტელში სიმინდის მაღალი მოსავლის მოყვანის კარგი გამოცდილება აქვს ვენერა სონიშვილის რგოლს. თვით ვენერამ შარშან გაპროვნებულ ერთ ჰექტარზე 60 ცენტნერი მარცვალი მიიღო, წელს კი იკისრა ამავე ფართობზე მოიწიოს 70 ცენტნერი სიმინდი.

* * *

სურათებზე: მესიმინდეთა მერგოლური ვენერა სონიშვილი (მარცხნივ), სიმინდის თესვა დუშეთის რაიონის სოფელ ბაზალეთის კალინინის სახელობის კოლმეურნეობაში (ქვევით).

ფოტო ს. ონანოვისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

დიდ საქმეთა გაზაფხული

ფართო გზა—„მინდვრის დედოფალს“, ჭარხალს...

ახმეტა. (საკ. კორ.). კოლმეურნეებმა და მექანიზატორებმა საადრეო კულტურების თესვა მოკლე ვადაში დაამთავრეს. ახლა კი „მიხდვრის დედოფალს“ თესავენ.

სოფელ მატნის კოლმეურნეობამ 400 ჰექტარზე მეტი სიმინდი უნდა დათესოს. ამ დავალების შესრულებას პირველნი შეუდგნენ მექანიზატორები ფიდო ტუგულაშვილი და მიხეილ ნონიაშვილი. ერთ დღეს კვადრატულ-ბუდობრივად 30 ჰექტარი სიმინდი დათესეს.

ქისტაურის ს. ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში სიმინდს თესავენ ივანე ხოზბერაშვილი და გოგა მიკირტუმაშვილი. მათ ანგარიშზეა პირველი 35 ჰექტარი.

ხაშური. (საკ. კორ.). კოლმეურნეობა „ზემო ქართლში“ ჩქარი ტემპით მიმდინარეობს შაქრის ჭარხლის თესვა. ტრაქტორისტები ა. მოსიაშვილი და ლ. ღამბარაშვილი შაქრის ჭარხლის თესვის დღიურ დავალებებს გადაჭარბებით ასრულებენ.

შაქრის ჭარხლის თესვას შეუდგნენ სოფელ ოსიაურის კოლმეურნეობაშიც. აქ ეს კულტურა სულ 90 ჰექტარზე დათესება. ორ დღეში დათესილია 22 ჰექტარი.

გორი. (საკ. კორ.). ახალუბნელ კოლმეურნეებს შაქრის ჭარხლის მაღალი მოსავლის მიღების კარგი გამოცდილება აქვთ. წელს კოლმეურნეობა რაიონში ეთა-ერთი პირველი შეუდგა შაქრის ჭარხლის თესვას. ამ საქმეშოს ასრულებს გამოცდილი ტრაქტორისტი ქიტესი მჭედლიშვილი. პირველ დღესვე მოწინავე მექანიზატორმა თესვის დავალება გადამეტებით გაანაღდა — დათესა 11 ჰექტარი.

ლაგოდეხი. (საკ. კორ.). აფენის მიხდვრებში გავიდნენ მექანიზატორები. კოლმეურნეობა „საქართველოს“ ტრაქტორისტებმა ზაქრო ნოზაძეძ და ზალვა მუმლაძემ პირველებმა დაიწყეს სიმინდის თესვა.

კვადრატს კვადრატი ემატება. მემინდვრეობის მეშვიდე ბრიგადაში (ბრიგადირი შალვა ნოზაძე) შრომის ხალისია, ისინი წელს სიმინდის უხვ მოსავალს მიიღებენ. — ჰექტარზე სამოცი ცენტნერი მარცვლად! — ასეთია მათი პირობა. პირველ დღეს მათ 25 ჰექტარზე დათესეს სიმინდი. სიმინდის თესვა დაიწყეს აგრეთვე ამავე კოლმეურნეობის მე-9 ბრიგადაში (ბრიგადირი შალვა გულიაშვილი).

კოლმეურნეობა „საქართველოს“ მინდვრებში ამ გაზაფხულზე 380 ჰექტარ სიმინდს დათესავენ. აქედან 200 ჰექტარზე კვადრატულ-ბუდობრივად. სიმინდის პროგრესული წესით თესვის საუკეთესო ოსტატები არიან ტრაქტორისტები ერასტი შეყელაშვილი და მიხეილ კაპანაძე, მათ წარმატებით დაიწყეს სიმინდის თესვა.

წითელწყაროო. (საკ. კორ.). თბილი, მზიანი ამინდებია შირაქის მინდვრებზე. თესვისათვის ამ ხელსაყრელ პირობებს კარგად იყენებენ წითელწყაროელი კოლმეურნეები.

წელს რაიონში 5.320 ჰექტარზე დათესა მზესუმზირა. მექანიზატორები საუკეთესოდ დაეუფლნენ კვადრატულ-ბუდობრივ თესვას. სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობაში 450 ჰექტარი დათესეს ამ პროგრესული მეთოდით. კოლმეურნეობის მექანიზატორი აბრამ ბენაშვილი თესვის სარეკორდო მაჩვენებლებს აღწევდა — ყოველდღიურად 12 ჰექტარ მზესუმზირას მაღალხარისხოვნად თესავდა.

კარგი მუშაობისათვის— გარდამავალი დროშები

ბათუმი, 23 მარტი. (საქდესი). სოფელ ახალშენის კულტურის სასახლეში გაიმართა ბათუმის რაიონის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა შეკრება. მოხსენება განვლილი სამეურნეო წლის შედეგებისა და ახალი ამოცანების შესახებ გააკეთა პარტიის ბათუმის რაიკომის პირველმა მდივანმა ნ. ხახუტაშვილმა.

შეკრებაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ გ. ძოწენიძემ. მან შეკრების მონაწილეებს და მათი სახით რაიონის ყველა მშრომელს მიულოცა ის, რომ ბათუმის რაიონს გასულ წელს ჩაის წარმოებაში საუკეთესო მაჩვენებლების მიღწევისათვის მიეკუთვნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა, და უსურვა ახალი, კიდევ უფრო დიდი წარმატებანი. ამხ. გ. ძოწენიძემ ნ. ხახუტაშვილსა და რაიაღმასკომის თავმჯდომარეს ნ. გორგოშაძეს გადასცა გარდამავალი წითელი დროშა.

შეკრებაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ა. თხილაიშვილმა.

მოწინავე კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, ჩაის ფაბრიკებსა და სასოფლო საბჭოებს გადაეცათ პარტიის ბელოზერსკის რაიკომისა და რაიაღმასკომის, აგრეთვე პარტიის ბათუმის რაიკომისა და რაიაღმასკომის გარდამავალი წითელი დროშები.

შეკრების მონაწილეებმა იკისრეს 1962 წლის ვალდებულებანი და მოუწოდეს რაიონის სოფლის მეურნეობის მშრომელებს გააჩაღონ შეჯიბრება ამ ვალდებულებათა შესრულებისათვის.

შეკრების მუშაობაში მონაწილეობა მიიღო აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ რ. კომახიძემ.

კ. ტოლიატის განცხადება

რომი, 23 მარტი. (საკდესი). გაზეთი „უნიტა“ იუწყება, რომ რომში გაიმართა იტალიის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობის სხდომა. უურნალისტთა ჯგუფთან საუბრის დროს იტალიის კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა პალმირო ტოლიატიმ განაცხადა, რომ ამ სხდომაზე განსაკუთრებით იქნა განხილული საკითხი ელექტრომრეწველობის ნაციონალიზაციისა და მისი განხორციელების ფორმების შესახებ.

ეს პრობლემა, თქვა ტოლიატიმ, მხოლოდ მთავრობის პროგრამის ნაწილი როდია, მისი გადაჭრით დიდად არიან დაინტერესებული იტალიის ხალხის მასები. და ჩვენ, კომუნისტებს, გვინდა, რომ ღონისძიებები, რომლებიც ამ პრობლემის გადაჭრის მიზნით განხორციელდება, იყოს ნამდვილი დარტყმა მსხვილი მონოპოლისტური ჯგუფებისადმი.

აგრესიის ახალი აქტი

ნიუ-იორკი, 23 მარტი. (საკდესი). სირიის არაბთა რესპუბლიკის წარმომადგენლობამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში გუშინ გამოაცხადა, რომ ისრაელმა ჩაიდინა აგრესიის ახალი აქტი სირიის წინააღმდეგ. 21 მარტს, ნათქვამია სირიის წარმომადგენლობის აქ გამოქვეყნებულ განცხადებაში, ისრაელის „სუპერმისტერის“ ტიპის ოთხმა სამხედრო თვითმფრინავმა დაარღვია სირიის საჰაერო სივრცე. ერთ-ერთი მათგანი ჩამოაგდეს რას ნაფინის მახლობლად.

ეს ინციდენტი, ნათქვამია განცხადებაში, კვლავ მოწმობს, რომ ისრაელი არღვევს შეთანხმებას დაზავების შესახებ და ახალი დადასტურებაა პროვოკაციებისა და აგრესიის პოლიტიკისა, რომელსაც ისრაელი ახორციელებს.

ვ. ი. ლენინის თხზულებათა სრული კრებულის 27-ე ტომი

გამოვიდა ვ. ი. ლენინის თხზულებათა სრული კრებულის ოცდამეშვიდე ტომი. ტომში შესულია ნაწარმოებები, რომლებიც ვლადიმერ ილიას-ძემ დაწერა 1915 წლის აგვისტოდან 1916 წლის ივნისამდე.

ტომში ცენტრალური ადგილი უკავია კლასიკურ ნაშრომს „იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია“, რომელშიც ვ. ი. ლენინმა პირველად მოგვცა იმპერიალიზმის, როგორც კაპიტალიზმის უკანასკნელი სტადიის, ეკონომიური და პოლიტიკური არსის ღრმა მეცნიერული ანალიზი, გვიჩვენა, რომ „იმპერიალიზმი პროლეტარიატის სოციალური რევოლუციის წინადღეა“. იმპერიალიზმის შესახებ ლენინის ნაშრომის მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა ის არის, რომ მან მოგვცა სოციალისტური რევოლუციის თეორიის ეკონომიური დასაბუთება.

ტომში შესულ მთელ რიგ ნაწარმოებებში ვ. ი. ლენინი აშუქებს პირველი მსოფლიო ომის არსს, ამხილებს მის იმპერიალისტურ ხასიათს, ასაბუთებს და განმარტავს ბოლშევიკურ ლოზუნგებს.

ნაწარმოებებში, რომლებიც შეტანილია ამ ტომში, აისახა ვლადიმერ ილიას-ძის უდიდესი დაუცხრომელი მუშაობა სოციალისტური პარტიების რევოლუციურ ელემენტთა შესაკავშირებლად, მისი ბრძოლა პროლეტარული ინტერნაციონალიზმისათვის, III კომუნისტური ინტერნაციონალის შექმნისათვის, რევოლუციურ-მარქსისტული პრინციპების, პროლეტარული პარტიის რევოლუციური თეორიისა და ტაქტიკის პრინციპებისა საერთაშორისო მუშათა მოძრაობაში.

ტომში შეტანილ თეზისებში „სოციალისტური რევოლუცია და ერის თვითგამორკვევის უფლება“ ვ. ი. ლენინი ამუშავებს ბოლშევიკების პროგრამას ეროვნულ-კოლონიურ საკითხში და ღრმად ასაბუთებს კომუნისტური პარტიის თეორიასა და ტაქტიკას ეროვნულ საკითხში.

კარში „მოსამზადებელი მასალები“ შეტანილია 12 დოკუმენტი. ზოგიერთი მათგანი თხზულებებში პირველად ქვეყნდება.

ტომი გამოსაცემად მოამზადა სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტმა და გამოუშვა პოლიტიკური ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ. (საკდესი).

ზ. ი. ხალილოვი

აზერბაიჯანის სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი

ბაქო, (საკდესი). აკადემიკოსი ზაიდ ისმაილის-ძე ხალილოვი აზერბაიჯანის სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტად აირჩიეს აკადემიის საერთო კრებაზე. ამ თვალსაჩინო საბჭოთა მეცნიერი მათემატიკოსის მოღვაწეობა მჭიდროდ დაკავშირებულია მათემატიკური ფიზიკისა და ფუნქციონალური ანალიზის განვითარებასთან. ზ. ი. ხალილოვის საოცდაათზე მეტ მეცნიერულ ნაშრომს შორის არის ფუნქციონალური ანალიზის საინტერესო ნაშრომები, აგრეთვე ნაშრომები, რომლებიც დაკავშირებულია ზემძლავრი ტურბინების დაპროექტების, ნავთობგაზიანი საბადოების დამუშავების ამოცანებთან და სხვ.

მეცნიერს დიდი დამსახურება მიუძღვის მეცნიერთა კადრების მომზადებაში. რესპუბლიკური აკადემიის მეცნიერი მუშაკების — მათემატიკოსების მნიშვნელოვან ნაწილს მისი მოწაფეები შეადგენენ. 18 მარტს არჩევნებში იგი არჩეულ იქნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

საერთო კრებამ აკადემიის მდივან აკადემიკოსად აირჩია მ. ფ. ნაგიევი.

მოგებათა მორიგი ტირაჟი

1962 წლის 30 მარტს ხარკოვში გაიმართება სახელმწიფო შინაგანი 2 პროცენტიანი მომგებიანი სესხის მოგებათა მორიგი, 86-ე ტირაჟი.

ტირაჟში გათამაშდება 5 ათას მანეთიანი 32 მოგება, 2.500 მანეთიანი 80 მოგება, 1000 მანეთიანი 400 მოგება, 500 მანეთიანი 1280 მოგება, აგრეთვე 100 და 40 მანეთიანი მოგებანი. სულ ტირაჟში სესხის 16 თანრიგზე გათამაშდება 7.440.320 მანეთი თანხის 136.000 მოგება.

მოგებათა შემდეგი, 87-ე ძირითადი ტირაჟი მოეწყობა 1962 წლის 30 მაისს ჩელიაბინსკში.

საერთაშორისო ლენინური პრემია— ფიდელ კასტროს

ჰავანა, 22 მარტი. (საკდესი). გუშინ საღამოს კუბის რესპუბლიკის გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწეს, ხალხთა მშვიდობის, თავისუფლების, დამოუკიდებლობისა და ბედნიერებისათვის დაუცხრომელ მებრძოლს, კუბის რევოლუციური მთავრობის პრემიერ-მინისტრს დოქტორ ფიდელ კასტრო რუსს გადაეცა „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის საერთაშორისო ლენინური პრემია.

ლენინური პრემიის გადაცემის საზეიმო აქტზე ჰავანის ჩაპლინის სახელობის უდიდეს თეატრში ექვსი ათასამდე კაცი შეიკრიბა. კრება გახსნა საერთაშორისო ლენინური პრემიების კომიტეტის წევრმა ჰავანის უნივერსიტეტის რექტორმა ხუან მარინელიომ.

შემდეგ სიტყვა მიეცა საერთაშორისო ლენინური პრემიების კომიტეტის თავმჯდომარეს აკადემიკოს დ. ვ. სკობელცინს.

მქუხარე, ხანგრძლივ ოვაციაში აკადემიკოსმა დ. ვ. სკობელცინმა ფიდელ კასტროს გადასცა „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემიის ლაურეატის მედალი და დიპლომი.

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა ფიდელ კასტრომ.

გვატემალა იბრძვის

ჰავანა, 23 მარტი. (საკდესი). გვატემალის ხალხი განაგრძობს ბრძოლას იდიგორას ფუენტესის დიქტატურის წინააღმდეგ. როგორც პრესა ლატინას სააგენტო იუწყება, გვატემალის დედაქალაქში კვლავ მოეწყო მთავრობის საწინააღმდეგო გამოსვლები. დემონსტრანტებმა ქალაქის ცენტრში შეაჩერეს ტრანსპორტის მოძრაობა.

გვატემალის მთავრობამ გუშინ კიდევ 30 დღით განაგრძო იანვრის დამლევს შემოღებული საალყო წესები.

გვატემალის უნივერსიტეტის სტუდენტთა ასოციაციის თავმჯდომარემ რამირეს პერეირამ განაცხადა, რომ გვატემალის სტუდენტები განაგრძობენ გაფიცვას სანამ არ მიაღწევენ „იდიგორას ფუენტესის გადაყენებას და ახლანდელი კონგრესის დათხოვნას“. მან აღნიშნა, რომ მარტი უკანასკნელ დღეებში გვატემალის პოლიციამ დახოცა 20, დაჭრა 550 და დააპატიმრა ათასზე მეტი კაცი.

გვატემალაში გუშინ გაავრცელეს ბეჭრი ფურცელი, რომლებიც სტუდენტებსა და ყველა მშრომელს მოუწოდებენ — დაიწყონ მთელ გვატემალაში საყოველთაო გაფიცვა, რათა მიაღწიონ იდიგორას ფუენტესის რეჟიმის დამხობას და დემოკრატიული მთავრობის შექმნას, რომელიც დააკმაყოფილებს გვატემალის ხალხის მისწრაფებას.

ბონი მოითხოვს...

ბონი, 23 მარტი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის სამხედრო მრჩეველი გენერალი ტეილორი, რომელიც გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში იმყოფება, ბონში აწარმოებდა მოლაპარაკებას ბუნდესვეერის სარდალთან ვენერალ ფერჩთან და დასავლეთ გერმანიის თავდაცვის სამინისტროს სტატს-მდივანთან ხოპფთან. ხოპფი ცვლის მინისტრს შტრაუსს, რომელიც ავად გახდა. ბონის პოლიტიკურ და განსაკუთრებით სამხედრო წრეებში ამ მოლაპარაკებას, რომელიც შორს გასცდა ჩვეულებრივი „საინფორმაციო ვიზიტის“ ფარგლებს, დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მოწვევის შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი სსრ კავშირის კონსტიტუციის 55-ე მუხლის საფუძველზე **ადგენს:**

მოწვეულ იქნეს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მეექვსე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესია 1962 წლის 10 აპრილს ქალაქ მოსკოვში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 23 მარტი.

წერილები რედაქციას

რომ იყოს პროდუქტების სიუხვე სიცოცხლის საფასოზე

გვახსოვდეს: წერილის უკან ადგას ადამიანი

მოსავლიანობის ზრდის კიდევ ერთი რეზერვი

პარტიის ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის შემდეგ დღის წესრიგში მთელი სიმძაფრით დადგა სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიუხვის შექმნის საკითხი. ამ მიზნით საჭირო გამოვნახოთ, ავამოქმედოთ ყველა რეზერვი. ერთ-ერთ ასეთ რეზერვზე მიმდა გვსაუბრო მკითხველს:

ჯერ კიდევ 1950 წელს აზერბაიჯანის სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ჯ. ჰუსეინოვმა ნავთის მრეწველობის ნარჩენებიდან გამოაკეთა ხსნადი ტუტი ნაერთები და შეისწავლა მათი მოქმედება მცენარის ზრდა-განვითარებაზე.

მოძმე რესპუბლიკაში დიდი გამოკვლევებია ჩატარებული ამ ნივთიერების გავლენის შესასწავლად მცენარის ზრდა-ზე და განვითარებაზე, ცხოველთა და ფრინველთა, აგრეთვე ადრეშუმის ჭიის ორგანიზმში მიმდინარე ფიზიოლოგიურ პროცესებზე და მიღებული დადებითი შედეგები.

1959-1960 წლებში ჩვენ ვსწავლობდით ნავთობური ზრდის ნივთიერების გავლენას სიმინდგომი ხორბლისა და ვაზის მოსავლიანობაზე.

საშემოდგომო ხორბალზე ცდებს ვაწარმოებდით საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დიღმის სასწავლო-საცდელი მეურნეობის ღია ყავისფერ ნიადაგზე. ვენახში კი ორი წლის განმავლობაში ცდას ვატარებდით საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის ინსტიტუტის თელავის საცდელი სადგურის ტერიტორიაზე ტყის ყავისფერ ნიადაგზე.

ზრდის ნივთიერების მაღალი ეფექტიანობა გამოვლინდა ჩვენ მიერ ჩატარებულ ცდებშიც. მაგალითად, ამ ნივთიერების გამოყენებით საშემოდგომო ხორბლის მოსავლიანობა 37 პროცენტით გაიზარდა, ხოლო ყურძნის მოსავალმა 26-34 პროცენტით იმატა.

ცდების შედეგების საფუძველზე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს წინასწარ შემუშავებული გეგმით გასულ წელს ჩვენს რესპუბლიკაში ნავთობური ზრდის ნივთიერების ეფექტიანობის შესამოწმებლად საწარმო ცდები ჩატარდა სმინდზე, ჩაის და ციტრუსოვანთა პლანტაციებზე, აგრეთვე ვენახში, ხეხილზე, პამიდორზე, კომბოსტოსა და კარტოფილზე.

ჩაის კულტურაზე ცდები ჩატარდა ნარუჯის, ორჩამურის, ანიგვარის და ჩაქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობების პლანტაციებში. ცდების დროს გამოყენებულ იქნა ზრდის ნივთიერების 0,05 პროცენტიანი ხსნარი. ჰექტარზე 1.000 ლიტრი ხსნარი შეგვასხურეთ. ამ ცდის შედეგად ჩაის მწვანე ფოთლის მოსავალი ჰექტარზე 350 კილოგრამიდან 1.790 კილოგრამამდე გაიზარდა.

მანდარინზე ცდები ჩატარდა მახინჯაურის, ურეკის ციტრუსოვანთა საბჭოთა მეურნეობებში და საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობების ინსტიტუტის ეშერის სასწავლო-საცდელ მეურნეობაში. მანდარინის ხეებზე ყვავილობის დასაწყისში შესხურებულ იქნა ზრდის ნივთიერების 0,05 პროცენტიანი ხსნარი ჰექტარზე 800 ლიტრის ანგარიშით, რის შედეგად მანდარინის ნაყოფის მოსავალი ჰექტარზე 900 კილოგრამამდე გაიზარდა.

ნავთობური ზრდის ნივთიერება **ხეხილზე** გამოსცადეს ბრეთის საცდელ-საჩვენებელი მეურნეობისა და გორის იქსპერიმენტული ბაზის ხეხილის ბაღებში. ზრდის ნივთიერების 0,05 პროცენტიანი ხსნარი ვაშლის ხეებზე ორჯერ შეგვასხურეთ ჰექტარზე 800 ლიტრის რაოდენობით. ვაშლის ნაყოფის მოსავალმა ჰექტარზე ბრეთის საბჭოთა მეურნეობაში 1.100 კილოგრამით, ხოლო გორის იქსპერიმენტული ბაზის ბაღში 5.500 კილოგრამით მოიმატა.

ვაზზე ცდები ჩატარდა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დიღმის სასწავლო-საცდელი მეურნეობის, წინანდლისა და მცხეთის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობების ვენახებში. ზრდის ნივთიერების 0,05 პროცენტიანი ხსნარი ჰექტარზე 1.000 ლიტრის რაოდენობით შესხურდა ვაზის ყვავილობის დასაწყისში, რის შედეგად ყურძნის მოსავალი 13 ცენტნერით გადიდდა.

ნავთობური ზრდის ნივთიერების გამოყენებით **სიმინდის** მარცვლის მოსავალი ყოველ ჰექტარზე საქართველოს სასელექციო საცდელი სადგურის ნაკვეთებში გაიზარდა 2,8 ცენტნერით, მიწათმოქმედების ინსტიტუტის მცხეთის ექსპერიმენტულ ბაზაში — 4,4 ცენტნერით, ხოლო აჯამეთის საცდელი სადგურის მეურნეობაში — 3,3 ცენტნერით.

ნავთობური წარმოშობის ზრდის ნივთიერება 40 პროცენტიან ხსნარს წარმოადგენს და მას სუსტი კონცენტრაციის (0,005-0,005 პროცენტი) წყალხსნარის სახით იყენებენ. ამ ნივთიერების 0,05 პროცენტიანი ხსნარის მოსამზადებლად საწყისი კონცენტრაციის ხსნარის (40 პროცენტი) 12,5 მლ განზავდება 10 ლიტრ წყალში, ე. ი. 40 პროცენტიანი ხსნარის 0,5 ლიტრი განზავდება 400 ლიტრ სუფთა წყალში. წარმოებაში გამოსაყენებლად შეიძლება აღებულ იქნას წყალსადენის, მდინარის ან ჭის წყალი.

ნავთობური ზრდის ნივთიერების გამოყენება მცენარეზე შეიძლება ვაწარმოოთ თესვის დროს, გამოკვებისათვის მინერალურ სასუქებთან წინასწარ შერევით, თესლის დამუშავებით და შესხურებით.

თესვის, რგვის ან გამოკვებისათვის ზრდის ნივთიერება ჰექტარზე საჭიროა შევიტანოთ: ჩაის და ციტრუსოვანების პლანტაციებში, ვენახში ან ხეხილის ბაღში 200 გრამის რაოდენობით, თამბაქოს, პამიდორის, ბაღრიჯნის, სიმინდგომი ხორბლისათვის 100 გრამის რაოდენობით, სიმინდის, ბარდის, ცერცვის, კომბოსტოსა და ბახჩეულებისათვის — 50 გრამის რაოდენობით.

მინერალურ სასუქებთან ზრდის ნივთიერების წინასწარ შერევისათვის, თუ ჰექტარ ფართობზე განზრახულია 100 გრამი ნივთიერების შეტანა, უნდა აიღოთ 40 პროცენტიანი ხსნარის 250 მლ და განვაზავოთ 2 ლიტრამდე წყალში და ეს ხსნარი მოვასხეროთ მინერალურ სასუქებს.

კარგ ეფექტს იძლევა აგრეთვე ზრდის ნივთიერებით განზავებულ ხსნარში თესლის წინასწარ დამუშავება. მაგალითად, სიმინდის თესლის 0,005 პროცენტიან ხსნარში 12 საათის განმავლობაში დალბობა, ხორბლის, ბრინჯის და სხვა მარცვლეულების თესლის 0,05 პროცენტიანი ხსნარით დამუშავება.

უფრო კარგ შედეგს იძლევა და თანაც შედარებით ადვილია ფესვგარეშე გამოკვებისათვის მცენარის შესხურება ზრდის ნივთიერების განზავებული ხსნარით. ამ მიზნით ჩაის პლანტაციაზე შესხურება ტარდება 0,05 პროცენტიანი ხსნარით ჰექტარზე 800 ლიტრის ანგარიშით საგეგეტაციო პერიოდში ორჯერ შესხურება ტარდება ორჯერ, აქედან პირველი — ყვავილობის დაწყებამდე და მეორე — უშუალოდ ყვავილობის დროს.

ამგვარადვე ხდება შესხურება ვაზსა და ხეხილზე. ნავთობური წარმოშობის ზრდის ნივთიერების ხსნარის შესხურება წარმოებს „ოდნ“ ტიპის მანქანებით ან „ავტომაქსის“ შესასხურებლით.

ზრდის ნივთიერების 40 პროცენტიანი ხსნარის შენახვა და გადაგზავნა შეიძლება რკინის, ხის ან მინის ჭურჭლით. ის არ იწვის, ტემპერატურის მერყეობით თვისებასა და ხარისხს არ კარგავს. სოფლის მეურნეობაში მისი გამოყენება ძალიან იაფი ჯდება.

გამოანგარიშებულია, რომ ერთი ჰექტარი ფართობისათვის საჭირო ზრდის ნივთიერების ღირებულება 2-3 კაპიკს არ აღემატება. ამ ნივთიერების განუსაზღვრელი რაოდენობით მიღება შეიძლება აზერბაიჯანის ნავთის სარეწაოების სამმართველოდან.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია ვურჩიოთ ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს ფართოდ გამოიყენონ ნავთობური ზრდის ნივთიერება სასოფლო-სამეურნეო კულტურების უხეი მოსავლის მისაღებად.

პროფ. ა. მენაღარიშვილი,

მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე.

მეცნიერება და პრაქტიკა

სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დიღმის სასწავლო-საცდელი მეურნეობის, წინანდლისა და მცხეთის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობების ვენახებში. ზრდის ნივთიერების 0,05 პროცენტიანი ხსნარი ჰექტარზე 1.000 ლიტრის რაოდენობით შესხურდა ვაზის ყვავილობის დასაწყისში, რის შედეგად ყურძნის მოსავალი 13 ცენტნერით გადიდდა.

ზრდის ნივთიერების 40 პროცენტიანი ხსნარის შენახვა და გადაგზავნა შეიძლება რკინის, ხის ან მინის ჭურჭლით. ის არ იწვის, ტემპერატურის მერყეობით თვისებასა და ხარისხს არ კარგავს. სოფლის მეურნეობაში მისი გამოყენება ძალიან იაფი ჯდება.

გამოანგარიშებულია, რომ ერთი ჰექტარი ფართობისათვის საჭირო ზრდის ნივთიერების ღირებულება 2-3 კაპიკს არ აღემატება. ამ ნივთიერების განუსაზღვრელი რაოდენობით მიღება შეიძლება აზერბაიჯანის ნავთის სარეწაოების სამმართველოდან.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია ვურჩიოთ ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს ფართოდ გამოიყენონ ნავთობური ზრდის ნივთიერება სასოფლო-სამეურნეო კულტურების უხეი მოსავლის მისაღებად.

პროფ. ა. მენაღარიშვილი,

მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე.

სტრიქონები წერილებიდან

ნუთუ ძნელია ამის მოგვარება?!

☐ **გვიკვირს, რომ** დღემდე ჩვენს საამაყო რუსთავში ტელეტელეფონებისთვის ერთი რიგიანი ბინაც კი არ გამოუყვიათ.

გ. ჯაფუა.

☐ **თბილისის** მესამე მასივის ახალ დასახლებაში აფთიაქი არა გვაქვს.

გ. მაისაშვილი,
ი. გურგაბანიძე.

☐ **ქუთაისი**-ვარციხის მიმართულებით გზები შეუკეთებელია, რაც ტრანსპორტის მოძრაობას აფერხებს.

ა. წაქაძე.

☐ **დედაქალაქში,** ვაჟა-ფშაველას პროსპექტზე მესამე კვარტალის მეცამეტე კორპუსის ბინებში მშენებლებს ამბანების დადგმა „დავიწყდათ“.

რ. ბასილაია, რ. იაშვილი, თ. კაპანიძე, ვ. მესხი.

☐ **წვიმიან** ამინდში ადამიანს ფეხით გავლაც კი უჭირს ზუგდიდ-ანაკლიის გზაზე. მდგომარეობის ასე დატოვება შეუძლებელია.

ბ. ალშიბაია.



„კომუნისტის“ საფოსტო ყუთი

დუშეთი, მაღაროსკარი, ა. ხუსურაულს

მთიან ზონაში გამოსაყენებელი გუთნებისა და ზოგიერთი სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის წარმოებას მართლაც ნაკლები ყურადღება ექცევა. წინათ საბრუნი ტიპის გუთნებს თბილისის კალინინის სახელობის ქარხანა უშვებდა, მაგრამ მათი წარმოება სხვადასხვა ნაკლოვანებათა გამო შეწყდა. ამჟამად სათანადო ორგანოები ამუშავებენ საკითხს საქართველოს მთიანი რაიონებისათვის ნიადაგის დასამუშავებელი და ხელით სახმარი სასოფლო-სამეურნეო ინვენტარისა და იარაღ-მანქანების წარმოების შესახებ. ეს შეგვატყობინა „საქსოფლტექნიკის“ ხელმძღვანელობამ, რომელსაც თქვენი წერილი გადაეგზავნა.

რაც შეეხება ცელებითა და სხვა საჭირო იარაღებითა და მასალებით რაიონების მომარაგებას, ადგილობრივმა ხელმძღვანელობამ უნდა მიმართოს ცეკავშირის გამგეობას, რომელსაც უშუალო ეკავება წერილმანი სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის შემოზიდვა.

• • •

დაბა ლენინგორი, ვ. დუდაევს

ალბათ კმაყოფილი იქნებით, რომ თქვენმა შენიშვნამ დაბაში სასმელი წყლის გამოყვანისათვის სამუშაოთა გაჭიანურების შესახებ სასურველი შედეგი გამოიღო. იდრეც შეგატყობინეთ, რომ წერილი ზომების მისაღებად პარტიის ლენინგორის რაიონულ კომიტეტს გადაგზავნეს.

რაიკომის მდივანმა ნ. ზადიშვილმა გვაცნობა: მოთხოვნა სამართლიანი იყო და დაგაკმაყოფილეთო.

• • •

გაგრა, ლესელიძე, ა. დუნდუას

თქვენი ოთხი წლის მიმოწერა როგორც იქნა, დამთავრდა. ჩვენი რედაქციის თხოვნით საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრომ საკითხი განიხილა და დაავალა გაგრის რაიონის სოციუზრუნველყოფის განყოფილებას შრომის სტაჟის დამოწმებელ საბუთად მიიღოს თქვენს მიერ წარდგენილი შრომის წიგნაკი და მასში არსებული ჩანაწერი მუშაობის 23 წლის საერთო სტაჟის შესახებ. ამრიგად, უახლოეს ხანში თქვენთვის პენსიის დანიშვნას განიხილავს რაიონის სოციუზრუნველყოფის განყოფილება და დაგაკმაყოფილებთ.

სოფელი მოითხოვს ორგანულ ცხოვრებას

დაპირება რიდი კმარა

ექიმი, რომელიც სოფელ ჭართლის მოსახლეობას ესსახურება თიოქმის რვა თვეა ავად არის. ამ ხნის მანძილზე მოკლებული ვართ სამედიცინო მომსახურებას. მიგმართეთ დუშეთის რაიონის ხელმძღვანელ ორგანოებს. შეგვპირდნენ, სამაგიერო ექიმს გამოვგზავნითო, მაგრამ სიტყვა არ შეასრულეს.

მარტო დაპირება როდი კმარა.

ვ. კედელაშვილი,
სოფელ ჭართლის კოლმეურნეობის წევრი.

არა გვყავს ექიმი, არ არის აფთიაქი

ლენტეხის რაიონის სოფლების უშგულის, ცანის, ყოროლდაშისა და ზესხოშის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება მოუწესრიგებელია. ამ სოფლებში არა გვყავს ექიმი, ხოლო წამლის საყიდლად შორს გვიხდება სიარული, რადგან არა გვაქვს აფთიაქი. თიოქმის ყველას კარგად მოეხსენება, რომ ზამთრის პერიოდში, დიდი თოვლის გამო, მოწყვეტილი ვართ რაიონის ცენტრს. რას ფიქრობენ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ხელმძღვანელი მუშაკები? ნუთუ ეს მდგომარეობა მათთვის ცნობილი არ არის? რატომ არ იღებენ ზომებს?

ჯ. გვასალია — სოფელ ცანის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, **მ. ნიშარაძე** — პენსიონერი, **ა. ჩარკვიანი** — კოლმეურნეობის პროდუქტიული პირუტყვის ფერმის გამგე, **ძ. ჩაქსელიანი** — სოფელ უშგულის კოლმეურნეობის პროდუქტიული პირუტყვის ფერმის მწყემსი, **გ. ჩაქსელიანი, ს. ნიშარაძე** — კოლმეურნეები, **ტ. კაკარიაშვილი** — სოფელ ყოროლდაშის მეცხოვრები.

ჭალვანელთა გულის ტკივილი

სოფელ ჭალვანი რაიონის ცენტრს საჩხერეს დაშორებულია ოცდაათი კილომეტრით. 1954 წლამდე ამ სოფლის საავადმყოფოში მუშაობდა ექიმი-სტომატოლოგი, რომელიც კვალიფიკაციის ასამაღლებლად თბილისში მოავლინეს. მას შემდეგ რამდენიმე წელი გავიდა, ახალი ექიმის დანიშვნაზე კი არავის უფიქრია.

ამ სოფლის მცხოვრებლები სამართლიან გულისწყრომას გამოთქვამენ ამის გამო.

ლ. ტუფანიძე.

მადლობა და საყვედურიც

თექვსმეტ იანვარს შვილი ავად გამიხდა. სოფელში, რომელიც რაიონის ცენტრს დაშორებულია თორმეტი კილომეტრით, ექიმი არა გვყავს. რაიონის ცენტრიდან გამოვიძახეთ სასწრაფო დახმარება, იგი დროზე მოვიდა. ჩამოსულმა ექიმებმა შვილი გადამირჩინეს. მინდა მადლობა გადავუხადო ექიმებს ს. ჯაფაჯურიძეს, ა. ხუნდაძეს, ე. გურიელიძეს გულისხმიერებისათვის.

ამასთან სამწუხაროდ, საყვედური უნდა გამოვთქვა იმის გამო, რომ სოფელში დღემდე არა გვყავს ექიმი.

ნ. რამიშვილი,
ჩოხატაურის რაიონის სოფელ დიდი ვანის მცხოვრები, მრავალშვილიანი დედა.

სიტყვას ვაძლევთ საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრს ამხ. გ. მარუაშვილს

მუშრომელთა კრიტიკული წერილები — „სოფელი მოითხოვს“ „კომუნისტის“ რედაქციამ გაიანო საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრს ამხ. გ. მარუაშვილს. მან განაცხადა:

— მთიანი რაიონების ზოგიერთი სოფლის მოსახლეობის საყვედური ჩვენს მიმართ სამართლიანია. აღნიშნულ სოფლებში დღემდე ვერ მივაღწიეთ სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესებას. ამის მიზეზი პირველ რიგში ის არის, რომ კურსდამთავრებული ახალგაზრდა კადრების ნაწილს არა სურს სოფლად მუშაობა. მათ მიმართ ეი გადამკვრელი ზომები ვერ მივიღეთ.

დასამალი როდია, რომ სამედიცინო ინსტიტუტში მიღების დროს უფრო მაღალ აკადემიურ წარმატებას იჩენდნენ და კონკურსში იმარჯვებდნენ თბილისელი ახალგაზრდები. ინსტიტუტში ჩარიცხვისას ანგარიშს არ ვუწევდით იმ რაიონების ახალგაზრდებს, სადაც სამედიცინო კადრების ნაკლებობაა. ეს ახლა გამოსწორებულია.

1959 წელს მაღალმთიანი რაიონებიდან სამედიცინო ინსტიტუტში 83 ახალგაზრდა ჩაირიცხა, **1960** წელს — 99, ხოლო **1961** წელს ინსტიტუტში ჩარიცხული 336 ახალგაზრდიდან 267 რაიონიდან არის. მათ შორის მაღალმთიანი რაიონებიდან ინსტიტუტში 120-მდე ახალგაზრდა ჩაირიცხა. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ისინი თავიანთ რაიონებს დაუბრუნდებიან და მდგომარეობა ერთგვარად გამოსწორდება.

მანამდე კი ყოველგვარ ზომებს მივიღებთ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. ამ საქმეში დიდად გვიწყობენ ხელს თბილისის რაიონების სამედიცინო დაწესებულებები, რომლებმაც **შეშმბა** იკისრეს მაღალმთიან რაიონებზე და იქ ხანგრძლივი ვადით გზავნიან ექიმთა ბრიგადებს. ახლა ლენტეხის რაიონში თბილისის ლენინის რაიონიდან იმყოფება კვალიფიციურ ექიმთა ბრიგადა. **26** კომისრის რაიონიდან ახალქალაქში გაიგზავნა თერმეტი ექიმი, ისინი რამდენიმე თვეს დაჰყოფენ საშეფო რაიონში.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ დასახა ღონისძიებანი კორესპონდენციებში მოყვანილ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. დუშეთის რაიონის მთავარ ექიმს რ. ჩხეტიაშვილს დაეგზავნა სოფელ ჭართლში გაგზავნის ექიმი. მან უკვე გვაცნობა, რომ ამ სოფლის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება დაეკისრა ფასანაურის საავადმყოფოს ექიმს ნინო ჩოხელს.

ლენტეხის რაიონის მთავარ ექიმს რ. ქორიძეს წინადადება მიეცა სოფლებში უშგულში, ცანაში, ყოროლდაში ექიმების დანიშვნამდე მიავლინოს კვალიფიციური სპეციალისტები, ხოლო სოფელ ზესხოში, იმის გამო, რომ გათვალისწინებული არ არის ექიმის შტატი, მცხოვრებთა სამედიცინო მომსახურების ორგანიზაცია დაეკისრა მთავარ ექიმს.

მიღებულია ზომები ამ სოფლებში აფთიაქის გასახსნელად.

სამინისტრომ დაავალა კადრების განყოფილებას ლენტეხის, დუშეთის და ჩოხატაურის რაიონებში სოფლად სამუშაოდ გასაგზავნად შეარჩიოს კადრები და დასამტკიცებლად წარმოუდგინოს კოლეგიას.

ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კოლეგია ამ დღეებში სპეციალურად განიხილავს დუშეთის რაიონის სოფელ ჭართლის, სარჩერის რაიონის სოფელ ჭალვანის, ლენტეხის რაიონ სოფლების უშგულის, ცანის, ყოროლდაშის და ზესხოშის მოსახლეობაში სამედიცინო მომსახურების მდგომარეობის საკითხს და დასახავს ღონისძიებებს არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

მადლობა ზომებზე

ბ. ქერეფაშვილი, *სკოლის მშობელთა კომიტეტის თავმჯდომარე.*
ნ. გოგიჩაიშვილი, ლ. ამირხანოვი, ბ. ბასიტაშვილი, ნ. ფეჩიშვილი, *მასწავლებლები.*

სამამულო ომის სახელოვანი მონაწილის გენერალ-პოლკოვნიკ კ. ლესელიძის ძეგლის ავტორია მოქანდაკე **შ. ჩალაძე.**

როგორც ავტორმა გვაცნობა, მის მიერ გამზადებული ლესელიძის ძეგლი უახლოეს ხანში დაიდგმება მახარაძის რაიონის სოფელ ხვარბეთში.



მკითხველი ელოდება პასუხს

„კომუნისტის“ რედაქცია ყოველდღიურად იღებს მუშების, კოლმეურნეების, საბჭოთა ინტელიგენციის წარმომადგენლთა წერილებს, განცხადებებს, შეკითხვებს. ავტორები ეხებიან სამეურნეო და კულტურული ცხოვრების აქტუალურ საკითხებს, აყენებენ წინადადებებს, გამოთქვამენ შენიშვნებს.

მამხილებელი წერილებისა და კრიტიკული შენიშვნების ნაწილი ქვეყნდება გაზეთში, ხოლო ნაწილი ეგზავნება სხვადასხვა დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს, რომლებიც ვალდებული არიან ყურადღებით მოეკიდონ მშრომელთა სამართლიან მოთხოვნებს.

ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ხელმძღვანელი ორგანოების დიდი უმრავლესობა გულისხმიერად ეკიდება მშრომელთა წერილებსა და სიგნალებს, რედაქციას დროულად უგზავნის პასუხს კორესპონდენციაში მხილებული ნაკლის გამო მიღებული ზომების შესახებ.

„კომუნისტის“ რედაქციამ ყოველდღიურად ყურადღებით მოეკიდა ბ. ბერიძის, ბ. ბაბუხადიას, ბ. ბაბუხადიას, ბ. ბაბუხადიას

დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი

ასე აფასებს საზღვარგარეთი ნ. ს. ხრუშჩოვის წერილს პრეზიდენტ ჯ. კენედისადმი

ბუდაპეშტი. ნ. ს. ხრუშჩოვის წერილს კენედისადმი კოსმოსური სივრცის შესწავლისა და გამოყენების საკითხზე ცენტრალური ადგილი უკავია ბუდაპეშტის გაზეთებში. გაზეთები დაწვრილებით აქვეყნებენ ამ წერილის შინაარსს და ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ საბჭოთა კავშირის წარმომადგენლები გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კოსმოსის საკითხთა კომიტეტში მიიღებენ მითითებას — შეხვდნენ ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლებს და განიხილონ კონკრეტული საკითხები, რომლებიც კოსმოსური სივრცის კვლევასა და მშვიდობიანი მიზნით მის გამოყენებას შეეხება.

ვარშავა. ნ. ს. ხრუშჩოვის წერილს პოლონეთის საზოგადოებრიობა დიდი ინტერესით შეხვდა. გაზეთებმა გამოაქვეყნეს ვრცელი ადგილები ამ წერილიდან.

როგორც „ტრიბუნა ლუდუ“ აღნიშნავს, ნ. ს. ხრუშჩოვი წერს, რომ მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების გაერთიანების — სხვა პლანეტებზე — მთვარეზე, ვენერაზე. მარსზე მიღწევისათვის კოსმოსური ხომალდების ერთობლივი შექმნის უფრო ფართო თანამშრომლობის პერსპექტივები მაშინ წარმოიქმნება, როცა მიღწეულ იქნება შეთანხმება განიარაღების შესახებ.

პრაღა. პირველ გვერდებზე გამოაქვეყნეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის წერილი პრაღის გაზეთებმა. სსრ კავშირმა და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, წერს „რუდე პრავო“, უნდა გააერთიანონ ღონისძიებანი კოსმოსური სივრცის შესწავლის საქმეში. ასეთი შეთანხმების განსაკუთრებით ფართო შესაძლებლობანი გადაიშლება საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ.

გაზეთები „პრაცე“, „ობრანა ლიდუ“, „ზემედელსკე ნოვინი“ და სხვები მიესალმებიან აზრთა გაზიარებას ნ. ს. ხრუშჩოვსა და კენედის შორის.

ლონდონი. დიდი ინტერესით შეხვდნენ ინგლისში ნ. ს. ხრუშჩოვის წერილს პრეზიდენტ კენედისადმი, რომელშიც ჩამოყალიბებულია წინადადება საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ კოსმოსის შესწავლის დარგში. ყველა ინგლისურმა გაზეთმა თვალსაჩინო ადგილას გამოაქვეყნა ცნობები წერილის შესახებ.

„ხელიხელჩაკიდებული — მთვარისაკენ!“ — ასეთი სათაური წაუმძღვარა თავის ცნობას გაზეთმა „დეილი სკეტჩმა“. გაზეთმა „გარდიანმა“ ნ. ს. ხრუშჩოვის წერილს უწოდა „დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი საერთაშორისო თანამშრომლობის გზაზე კოსმოსის შესწავლაში“.

კაირო. კაიროს გაზეთებმა გამოაქვეყნეს საბჭოთა მთავრობის მეთაურის წერილის დაწვრილებითი შინაარსი. გაზეთმა „ალ-აჰბარმა“ ცნობა ამ წერილის შესახებ დაბეჭდა დიდი სათაურით: „ხრუშჩოვი აცხადებს, რომ რუსეთი მზად არის ითანამშრომლოს ამერიკასთან კოსმოსური სივრცის შესწავლის დარგში“. გაზეთი „ალ-გუმპურია“ წერილის შინაარსს ბეჭდავს სათაურით „ხრუშჩოვი სთავაზობს კენედის რუსეთისა და ამერიკის თანამშრომლობის პროგრამას კოსმოსის ათვისების დარგში.

ნიუ-იორკი, 21 მარტი. (საკდესი). სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის წერილი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ჯ. კენედისადმი კოსმოსური სივრცის შესწავლისა და გამოყენების საკითხზე მეოთხე სხდომაზე ამერიკის პრესის უურადღების ცენტრში და მიჩქმალა ყველა სხვა ახალი ამბავი.

ნიუ-იორკის რადიოსადგურებმა და სატელევიზიო კომპანიებმა დაუყოვნებლივ გამოუშვეს სასწრაფო ბიულეტენები, რომლებშიც დაწვრილებით გადმოცეს საბჭოთა მთავრობის მეთაურის წერილის შინაარსი. „ნიუ-იორკ პოსტმა“, რომელიც საღამოს სხვა გაზეთებზე უფრო ადრე გამოდის, გამოაქვეყნა ცნობა საბჭოთა მთავრობის მეთაურის ახალი საშვიდობო ინიციატივის შესახებ უზარმაზარი სათაურით პირველ გვერდზე: „ხრუშჩოვი მზად არის მოლაპარაკებისათვის კოსმოსის საკითხებზე“. გაზეთმა „ნიუ-იორკ უორლდ ტელეგრამ ენდ სანმა“ იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის საგანგებოს კორესპონდენციია მოსკოვიდან ასე დაასათაურა — „ხრუშჩოვი „ო, კეის“ ამბობს კოსმოსში გაერთიანებულ ღონისძიებათა შესახებ ამერიკის შეერთებულ შტატებთან მოლაპარაკებაზე“.

ნიუ-იორკი, 22 მარტი. (საკდესი). დიდი ინტერესით შეხვდნენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის საპასუხო წერილს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ კენედისადმი კოსმოსური სივრცის შესწავლისა და გამოყენების საკითხზე.

ეს წერილი, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კოსმოსის საკითხთა კომიტეტის გუშინდელ სხდომაზე წაიკითხა დელეგატმა პ. დ. მოროზოვმა, ერთი უურადღებით მოისმინეს. პ. დ. მოროზოვმა კომიტეტის თავმჯდომარეს მიმართა წინადადებით გაავრცელოს ნ. ს. ხრუშჩოვის წერილი, რომელსაც უშუალო დამოკიდებულება აქვს კომიტეტის მუშაობისადმი როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ოფიციალურ დოკუმენტს.

თავმჯდომარემ მაჩმა განაცხადა, რომ ეს დაუყოვნებლივ განხორციელდება.

სხვა დელეგატებმა, რომლებიც კოსმოსის საკითხთა კომიტეტის სხდომაზე გამოვიდნენ, ხაზგასმით აღნიშნეს, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს ნ. ს. ხრუშჩოვის წერილს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ კენედისადმი საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებისათვის კოსმოსური სივრცის მშვიდობიანი გამოყენების საქმეში. მაგალითად, იტალიის წარმომადგენელმა თქვა, რომ საბჭოთა მთავრობის მეთაურის წერილი, ისევე როგორც ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის 7 მარტის წერილი, დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯია იმ გზაზე, რომ განვითარდეს სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების თანამშრომლობა კოსმოსური სივრცის მშვიდობიანი მიზნით გამოყენების საქმეში.

როგორც განაცხადა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ამერიკის შეერთებული შტატების მისიის წარმომადგენელმა, რომლებიც საბჭოთა კავშირთან ერთად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კოსმოსის საკითხთა კომიტეტის წევრია, ნ. ს. ხრუშჩოვის წერილი უკვე მიიღო მისიამ ვაშინგტონიდან და გულდასმით სწავლობს. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ამერიკელთა წრეებში ხაზგასმით აღნიშნავენ დიდ ინტერესს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის წერილისადმი და აცხადებენ, რომ უკვე დასახულია სპეციალისტის კანდიდატურა, რათა უშუალო და დეტალური მოლაპარაკება აწარმოოს სსრ კავშირის წარმომადგენლებთან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კოსმოსის საკითხთა კომიტეტში, როგორც ეს წამოყენებულია ნ. ს. ხრუშჩოვის წერილში.

„ალჟირის დღე“ რაბატში

რაბატი, 22 მარტი. (საკდესი). მაროკოს დედაქალაქმა დიდი აღმავლობით აღნიშნა გუშინ „ალჟირის დღე“. ქალაქის ქუჩებში გაიმართა ხალხმრავალი დემონსტრაციები, რომლებიც მოაწყეს სახალხო ძალების ეროვნულმა კავშირმა, პარტიებმა—„ისტიკლალმა“ და „სახალხო მოძრაობამ“. მანიფესტაციებმა ჩაიარა არაბთა მაღრიბის, ე. ი. ალჟირის, მაროკოს და ტუნისის ერთობის ლოზუნგით.

მაროკოს პრესა კვლავ დიდ ყურადღებას უთმობს საფრანგეთ-ალჟირის შეთანხმებას, რომელსაც ხელი მოაწერეს ევიანში და ერთსულოვნად იზიარებს იმ აზრს, რომ ალჟირელმა ხალხმა დიდი გამარჯვება მოიპოვა.

ინდონეზიის მთელი ხალხი დასავლეთ ირიანის განთავისუფლებისათვის ემზადება. ახალგაზრდობასაც სურს თავისი წვლილი შეიტანოს სამშობლოს ამ კეთილშობილურ საქმეში. ჯაკარტის, სურაბაიის, მედანისა და ბევრი სხვა ქალაქის ასეულ ათასობით ბიბუკი და ქალიშვილი ინდონეზიის ყველა კუნძულზე მოხალისეთა რიგებში ჩაეწერა პოლანდიელ კოლონიზატორთაგან დასავლეთ ირიანის გასათავისუფლებლად.

სურათზე: ახალგაზრდული ორგანიზაციის წევრები სროლაში მეცადინეობენ.

ფოტო ბ. ივანოვისა. (საკდესის ფოტოკორონიკა).

პრეზიდენტ კენედის პრეს-კონფერენცია

ვაშინგტონი, 22 მარტი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა კენედიმ პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, რომ მიიღო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის საპასუხო წერილი კოსმოსური სივრცის შესწავლისა და გამოყენების საკითხზე. „დამაკმაყოფილა, — განაცხადა კენედიმ, — იმან, რომ ეს პასუხი მოწმობს, რომ არის მთელი რიგი საკითხები, რომლებიც საერთო ინტერესს წარმოადგენენ“.

ამ დარგში, თქვა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა, შემდეგი ღონისძიება ის უნდა იყოს, რომ ამერიკის წარმომადგენელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კოსმოსის კომიტეტში პლიმპტონი შეხვდეს საბჭოთა წარმომადგენელს, რათა შეთანხმდნენ იმაზე, რომ უმოკლეს ხანში განხილულ იქნეს საბჭოთა კავშირისა და შეერთებული შტატების კონკრეტული წინადადებანი.

კენედიმ გამოაცხადა, რომ დაავალა აერონავტიკისა და კოსმოსური სივრცის კვლევის ეროვნული სამმართველოს დირექტორის მოადგილეს დრაიდენს — მოაწყოს შემდგომი მოლაპარაკება საბჭოთა წარმომადგენლებთან ამ საკითხზე.

„შეერთებულ შტატებს, — აღნიშნა კენედიმ, — მტკიცედ აქვთ განზრახული ყოველი ღონე იხმარონ, რათა წინ წასწიონ კოსმოსის კვლევა მთელი კაცობრიობის ინტერესებისათვის“.

ერთ-ერთმა კორესპონდენტმა პრეზიდენტის ყურადღება მიაპყრო იმას, რომ, საბჭოთა კავშირის აზრით, ამერიკის შეერთებული შტატების მოთხოვნა კონტროლისა და ადგილზე ინსპექციის შესახებ, რათა შეიამწყმონ თუ როგორ სრულდება ხელშეკრულება აბრეშუმი იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ, ჯაშუშობის ლეგალიზაციაა და სხვა არაფერი. ამასთან დაკავშირებით მან ჰკითხა პრეზიდენტს, შეერთებული შტატების თვალსაზრისით როგორია კონტროლის მისაღები მინიმუმი, რათა შესაძლებელი იყოს აბრეშუმი იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ შეთანხმების მიღწევა.

პრეზიდენტ კენედის არ უარუყვია, რომ შეერთებულ შტატებში შეიძლება აღნიშნონ საბჭოთა კავშირში მოსმდარი ატომური აფეთქებანი. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მან თქვა, რომ „დიდი სიძნელეებია“ სეისმური საშუალებებით იმის გარკვევაში, რა მოხდა — მიწისძვრა თუ ატომური აფეთქება. ამ მიზეზის გამო, თქვა კენედიმ, ჩვენ მიგვაჩნია, რომ უნდა იყოს კონტროლი ადგილზე. ეს, ხაზი გაუსვა მან, „მთავარი უთანხმოებაა“ საბჭოთა კავშირსა და შეერთებულ შტატებს შორის.

შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს ჰკითხეს, ეთანხმებით თუ არა დასავლეთის პრესის ცნობებს, რომ მოლაპარაკება ჟენევაში განიარაღებისა და ბერლინის საკითხის შესახებ ჩიხში მიმეწყვდა.

კენედიმ უპასუხა, მოლაპარაკება მხოლოდ დაიწყო, და შეცდომა იქნება მივიჩნიოთ, რომ მოლაპარაკებას პერსპექტივები არა აქვს.

პრეზიდენტის აზრით, მოლაპარაკება ჟენევაში უნდა გაგრძელდეს.

იმ კითხვის პასუხად, აპირებენ თუ არა ამერიკის შეერთებული შტატები ცნონ ალჟირის რესპუბლიკის დროებითი მთავრობა კენედიმ თქვა, შეერთებული შტატები „უფრო შესაფერის მომენტს დაელოდებიანო“.

ასე ფიქრობენ ფრანგი კომუნისტები

პარიზი, 23 მარტი. (საკდესი). საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა, რომელიც პარიზის მუშათა გარეუბან ივრიში მიმდინარეობდა, გუშინ მუშაობა დაამთავრა. პლენუმმა განიხილა საფრანგეთის პოლიტიკური მდგომარეობა და პარტიის ამოცანები ალჟირში ცეცხლის შეწყვეტის შემდეგ.

პლენუმის მონაწილეებმა ამ საკითხზე მოისმინეს საფრანგეთის კომპარტიის პოლიტბიუროს წევრის ლეონ ფეიქსის მოხსენება. ცეცხლის შეწყვეტა, თქვა მომხსენებელმა, მშვიდობა როდია. მაგრამ ეს მშვიდობის, თავისუფლების, დემოკრატიის ძალების დიდი გამარჯვებაა ძალადობისა და ომის მომხრეებზე, კოლონიალიზმის, ხალხთა და ადამიანთა ჩაგვრის შავბნელ ძალებზე. ეს ალჟირელი და ფრანგი ხალხების დიდი გამარჯვებაა.

მომხსენებელმა შეაფასა ალჟირში საომარი მოქმედების შეწყვეტის შემდეგ შექმნილი ვითარება და ყურადღება მიაპყრო იმას, რომ ცეცხლის შეწყვეტა თავისთავად საბოლოოდ ვერ ჭრის ვერც ერთ პრობლემას: ალჟირში კვლავ იღვრება სისხლი; პირადი ხელისუფლება, დემოკრატიისათვის ძირის გამოთხრა, ფაშიზმის პირდაპირი საფრთხე არ ისპობა ცეცხლის შეწყვეტით. აქედან, ხაზს უსვამს მომხსენებელი, გამომდინარეობს, რომ საჭიროა გადამწყვეტი ბრძოლა ევიანის შეთანხმებათა განხორციელებისათვის და ოას-ის გაუვნებლებისათვის, ბრძოლა დე გოლის პოლიტიკის წინააღმდეგ და დემოკრატიის აღდგენისა და განახლებისათვის.

ამის განხორციელებისას, ხაზი გაუსვა ფეიქსმა ვერ დაგემყარებით დე გოლისა და მისი მთავრობის კეთილ ნებას. როგორც მსჯელი კომპიტალის წარმომადგენელს, დე გოლს წინანდებურადვე მიაჩნია მთავარ მტრად ალჟირელი ხალხის განმათავისუფლებელი მოძრაობა. და საფრანგეთის დემოკრატიული მოძრაობა. საჭიროა გადაჭრით ვიბრძოლოთ დე გოლის დამფუძველი პოლიტიკის წინააღმდეგ ყველა დარგში, კერძოდ საგარეო პოლიტიკის დარგში, სადაც დე გოლი „კვლავ სისტემატურად გამოდის აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ყოველგვარი მოლაპარაკების წინააღმდეგ“.

ფეიქსი შეეხო იმას, თუ როგორ ეკიდება კომპარტია 8 აპრილისათვის დასახულ რეფერენდუმს ევიანის შეთანხმებათა განხორციელების კანონპროექტის შესახებ და მოიწოდა მოითხოვონ რეფერენდუმი. ამით, განაცხადა მან, ჩვენ მოვითხოვთ ალჟირელთა თავისუფალ თვითგამორკვევას, ცეცხლის შეწყვეტას და მშვიდობას.

პლენუმმა მოიწონა ფეიქსის მოხსენება და მიიღო მისასალმებელი წერილი მოძმე ალჟირის კომუნისტური პარტიისადმი.

პლენუმზე სიტყვა წარმოთქვა საფრანგეთის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა მორის ტორეზმა.

ბრაზილიელები ნახავენ სსრ კავშირის მიღწევებს

რიო-დე-ჟანეირო, 22 მარტი. (საკდესი). 3 მაისს სან კრისტოვაოს საერთაშორისო გამოფენათა უდიდეს პავილიონში რიო-დე-ჟანეიროში გაიხსნება საბჭოთა კავშირის საავტო-სამრეწველო გამოფენა. ეს იქნება ყველაზე დიდი საბჭოთა გამოფენა საზღვარგარეთ მიმდინარე წელს. იგი ეწყობა სსრ კავშირისა და ბრაზილიის მთავრობათა დელეგაციების შეთანხმების საფუძველზე. გამოფენაზე ჩაჩვენები იქნება საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის ბევრი დარგის პროდუქცია. ბრაზილიელები ნახავენ თანამგზავრებს, კოსმოსური ხომალდების ცალკეულ დეტალებს, კოსმონავტის ნიფთებს, უახლესი თვითმფრინავებისა და ვერტმფრენავების მოდელებს, რომლებიც ჩვენი ქვეყნის სპეციალურ ხაზებზე მუშაობენ. ფართოდ იქნება წარმოდგენილი ექსპონატები, რომლებიც ასახავენ საბჭოთა მეცნიერების წარმატებებს.

გამოფენაზე განსაკუთრებული ადგილი ეთმობა ქიმიური და მეტალურგიული მრეწველობის ნიმუშებს, უახლესი ტიპის ჩარხებსა და სხვა სახეობათა სამრეწველო მოწყობილობას. დარბაზში „სსრ კავშირის სოფლის მეურნეობა“ ნაჩვენები იქნება საბჭოთა სასოფლო სამეურნეო მანქანები.

სპეციალური დარბაზები ეთმობა საბჭოთა მუსიკას, თეატრს, ცირკს, ლიტერატურას. დამთვალიერებლები შეიფასებენ ფართო მოხმარების საქონელსა და სახალხო ოსტატთა შემოქმედებას — მაქმანს, მოხატულობებს, ხის ჩუქურთმას, აგრეთვე გაეცნობიან ტურიზმის განვითარებას სსრ კავშირში, საბჭოთა კინოხელოვნებას. გამოფენაზე ნაჩვენები იქნება მოკლემეტრაჟიანი ფილმები „კოსმოსის“ განყოფილებაში წარმოდგენილი ექსპონატების გამოყენების შესახებ, აგრეთვე ფილმები პოლიეკრანზე. მოეწყობა საბჭოთა მოდების ჩვენება. გამოფენის გახსნაზე ჩამოვა ქორეოგრაფიული ანსამბლი „ბერიოზკა“.

ასე ფიქრობენ ფრანგი კომუნისტები

პარიზი, 23 მარტი. (საკდესი). საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა, რომელიც მარიზის მუშათა გარეუბან ივრიში მიმდინარეობდა, გუშინ მუშაობა დაამთავრა. პლენუმმა განიხილა საფრანგეთის პოლიტიკური მდგომარეობა და პარტიის ამოცანები ალჟირში ცეცხლის შეწყვეტის შემდეგ.

პლენუმის მონაწილეებმა ამ საკითხზე მოისმინეს საფრანგეთის კომპარტიის პოლიტბიუროს წევრის ლეონ ფეიქსის მოხსენება. ცეცხლის შეწყვეტა, თქვა მომხსენებელმა, მშვიდობა როდია. მაგრამ ეს მშვიდობის, თავისუფლების, დემოკრატიის ძალების დიდი გამარჯვებაა ძალადობისა და ომის მომხრეებზე, კოლონიალიზმის, ხალხთა და ადამიანთა ჩაგვრის შავბნელ ძალებზე. ეს ალჟირელი და ფრანგი ხალხების დიდი გამარჯვებაა.

მომხსენებელმა შეაფასა ალჟირში საომარი მოქმედების შეწყვეტის შემდეგ შექმნილი ვითარება და ყურადღება მიაპყრო იმას, რომ ცეცხლის შეწყვეტა თავისთავად საბოლოოდ ვერ ჭრის ვერც ერთ პრობლემას: ალჟირში კვლავ იღვრება სისხლი; პირადი ხელისუფლება, დემოკრატიისათვის ძირის გამოთხრა, ფაშიზმის პირდაპირი საფრთხე არ ისპობა ცეცხლის შეწყვეტით. აქედან, ხაზს უსვამს მომხსენებელი, გამომდინარეობს, რომ საჭიროა გადამწყვეტი ბრძოლა ევიანის შეთანხმებათა განხორციელებისათვის და ოას-ის გაუვნებლებისათვის, ბრძოლა დე გოლის პოლიტიკის წინააღმდეგ და დემოკრატიის აღდგენისა და განახლებისათვის.

ამის განხორციელებისას, ხაზი გაუსვა ფეიქსმა ვერ დაგემყარებით დე გოლისა და მისი მთავრობის კეთილ ნებას. როგორც მსჯელი კომპიტალის წარმომადგენელს, დე გოლს წინანდებურადვე მიაჩნია მთავარ მტრად ალჟირელი ხალხის განმათავისუფლებელი მოძრაობა. და საფრანგეთის დემოკრატიული მოძრაობა. საჭიროა გადაჭრით ვიბრძოლოთ დე გოლის დამფუძველი პოლიტიკის წინააღმდეგ ყველა დარგში, კერძოდ საგარეო პოლიტიკის დარგში, სადაც დე გოლი „კვლავ სისტემატურად გამოდის აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ყოველგვარი მოლაპარაკების წინააღმდეგ“.

ფეიქსი შეეხო იმას, თუ როგორ ეკიდება კომპარტია 8 აპრილისათვის დასახულ რეფერენდუმს ევიანის შეთანხმებათა განხორციელების კანონპროექტის შესახებ და მოიწოდა მოითხოვონ რეფერენდუმი. ამით, განაცხადა მან, ჩვენ მოვითხოვთ ალჟირელთა თავისუფალ თვითგამორკვევას, ცეცხლის შეწყვეტას და მშვიდობას.

პლენუმმა მოიწონა ფეიქსის მოხსენება და მიიღო მისასალმებელი წერილი მოძმე ალჟირის კომუნისტური პარტიისადმი.

პლენუმზე სიტყვა წარმოთქვა საფრანგეთის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა მორის ტორეზმა.

საფრანგეთის პარლამენტის საგანგებო სესია

პარიზი, 22 მარტი. საკდესის კორესპონდენტი **ჯ. დრაგუნოვი** იუწყება:

გუშინ გვიან საღამოს დამთავრდა საფრანგეთის პარლამენტის საგანგებო სესია, რომელიც მოიწვიეს საფრანგეთის მთავრობისა და ალჟირის რესპუბლიკის დროებითი მთავრობის შეთანხმებათა განსახილველად. ამ კამათს არ ახლდა რაიმე კენჭისყრა, მაგრამ ცხადყო, რომ პარლამენტის წევრთა უმრავლესობა იწონებს ევიანის შეთანხმებებს. ეს განაგებიცაა: ბურჟუაზიულ პარტიათა წევრი დეპუტატები იძულებული არიან ანგარიში გაუწიონ ამომრჩეველთა ფართო მასებია განწყობილებას, რომლებიც მიეს სალმებიან „ოლონიალური ომის შეწყვეტას ალჟირში.

ეროვნული კრების დეპუტატ კომუნისტთა და სენატორთა წარმომადგენლებმა ვალდებულ რომელ და ფაქტ დიუკლომ, რომლებიც „კამათში გამოვიდნენ, ხაზგასმით აღნიშნეს, რომ მშვიდობის აღდგენა ალჟირში, ალჟირელი ხალხისათვის თვითგამორკვევის უფლების მინიჭება, მომავალ დამოუკიდებელ ალჟირის სახელმწიფოსთან ახალი, თანასწორობასა და სარგებლობაზე დამყარებული ურთიერთობის შექმნა შეესაბამება საფრანგეთის ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს.

ამავე დროს საფრანგეთის პარლამენტის ორივე პალატის სხდომები გახდა ასპარეზი, რომ ევიანის შეთანხმებებს გააფთრებით დასხმოდნენ თავს პროფაშისტური და კოლონიალისტური დაჯგუფებანი.

სენატში კოლონიზატორული სიტყვები წარმოთქვეს სენატორებმა მორეალდომ, დე შევინიმ, ფიუტეამ, ბრიუნელმა და „რესპუბლიკა ერთიანობისა“ და „დაგენელ, დე გოლს წინანდებურადვე მიაჩნია მთავარ მტრად ალჟირელი ხალხის განმათავისუფლებელი მოძრაობა. და საფრანგეთის დემოკრატიული მოძრაობა. საჭიროა გადაჭრით ვიბრძოლოთ დე გოლის დამფუძველი პოლიტიკის წინააღმდეგ ყველა დარგში, კერძოდ საგარეო პოლიტიკის დარგში, სადაც დე გოლი „კვლავ სისტემატურად გამოდის აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ყოველგვარი მოლაპარაკების წინააღმდეგ“.

ფეიქსი შეეხო იმას, თუ როგორ ეკიდება კომპარტია 8 აპრილისათვის დასახულ რეფერენდუმს ევიანის შეთანხმებათა განხორციელების კანონპროექტის შესახებ და მოიწოდა მოითხოვონ რეფერენდუმი. ამით, განაცხადა მან, ჩვენ მოვითხოვთ ალჟირელთა თავისუფალ თვითგამორკვევას, ცეცხლის შეწყვეტას და მშვიდობას.

პლენუმმა მოიწონა ფეიქსის მოხსენება და მიიღო მისასალმებელი წერილი მოძმე ალჟირის კომუნისტური პარტიისადმი.

პლენუმზე სიტყვა წარმოთქვა საფრანგეთის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა მორის ტორეზმა.

საგარეო საქმეთა ნ. ს. ხრუშჩოვის ბრძოლა

კუბა სამართალს მოითხოვს

ნიუ-იორკი 22 მარტი. საკდესის კორესპონდენტი **ნ. ტურკატენკო** იუწყება:

უშიშროების საბჭო მეხუთე დღეა განიხილავს კუბის მთავრობის მოთხოვნას, რომ უშიშროების საბჭომ ურჩიოს საერთაშორისო სასამართლოს — გამოიტანოს დასკვნა კუბის წინააღმდეგ პუნტა-დელ-ესტეში ამერიკის შეერთებული შტატების ზეგავლენით მიღებულ გადაწყვეტილებათა კანონიერების შესახებ, რომლებიც როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების, ისევე თვით ამერიკის სამეწყინოფოთა ორგანიზაციის წესდების უხეში დარღვევაა.

რუმინეთის წარმომადგენელმა სავსებით დაუჭირა მხარი კუბის მთავრობის მოთხოვნას. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ უშიშროების საბჭო სერიოზულად უნდა გაერკვეს ისეთ მდგომარეობაში, როცა შეერთებული შტატები იცავენ თავიანთ ინტერესებს და უყოყმანოდ არღვევენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებასა და საერთაშორისო სამართლის ნორმებს.

კუბის მთავრობის მოთხოვნას მხარი დაუჭირა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის წარმომადგენელმა. მან განაცხადა, რომ მზად არის კენჭისსაყრელად შეიტანოს რეზოლუცია, რომელიც უშიშროების საბჭოს გუშინდელ სხდომაზე წარმოადგინა კუბამ.

ირლანდიის წარმომადგენელმა სავსებით დაუჭირა მხარი შეერთებული შტატების თვალსაზრისს, რომლებიც ცდილობენ არ დაუშვან ის, რომ უშიშროების საბჭომ მიმართოს საერთაშორისო სასამართლოს, რადგანაც „მოქმედება, რომელსაც შეერთებული შტატები ახორციელებენ კუბის წინააღმდეგ, საერთაშორისო სამართლის უხეში დარღვევაა.

ვენესუელის წარმომადგენლის გამოსვლა უშიშროების საბჭოს დღევანდელ სხდომაზე, განსაკუთრებით, ...

ლიტერატურა და ხელოვნება

თბილისის სტუმარი

გუსტა ფუჩიკოვა: მოხარული ვარ, რომ ჩამოვედი საქართველოში

ჩეხოსლოვაკიის ეროვნული გმირის, ფაშიზმის წინააღმდეგ დაუდგრომელი მებრძოლის, კომუნისტი ჟურნალისტის იულიუს ფუჩიკის სახელი ცნობილია არა მარტო მის სამშობლოში, არამედ მთელი მსოფლიოს პროგრესულად მოაზროვნე ხალხებისთვისაც.

ადამიანი, რომელსაც უყვარს სიცოცხლე, უყვარს სამშობლო, უყვარს მშობლები, მეგობრები, აუელვებლად გერ წაიკითხავს იულიუს ფუჩიკის უკანასკნელ ნაწარმოებს „რეპორტაჟი სასრჩობელადან". ეს არის სისხლით დაწერილი სტრიქონები ადამიანის დიდ მხნეობაზე, ვაჟკაცობაზე, სიცოცხლის სიყვარულზე.

ფუჩიკის ნაწარმოებების შეკრებისა და გამოცემის საქმეში დიდი დამსახურება მიუძღვის მის მეუღლეს, „მებრძოლ მეგობარს", როგორც თვითონ უწოდებდა, გუსტა ფუჩიკოვას. ეს პატრიოტი ქალი, რომელმაც ქმართან ერთად განიცადა ფაშისტებისგან დევნა-წამება, ამჟამად მშვიდობისათვის აქტიური მებრძოლია. იგი არის ჩეხოსლოვაკიის შშვიდობის დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, დიდი საზოგადო მოღვაწე, ი. ფუჩიკის ნაწარმოებების გამოცემის რედაქტორი.

22 მარტს გუსტა ფუჩიკოვა თბილისში ჩამოვიდა. იგი საბჭოთა კავშირში იმყოფება სსრ კავშირის პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნა გამავრცელებელი საზოგადოების მოწვევით. ძვირფას სტუმარს ეულთბილად შეხვდნენ დედაქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები — პარტიული, საბჭოთა მუშაკები, მეცნიერები, მწერლები, ხელოვნების მოღვაწეები, ხოსწავლეები.

ეს მომცრო ტანის თვალებმოცმიმე ქალი სიყვარულით ეხვევოდა უცნობ მეგობრებს, ბავშვებს. ზოგიერთი მათ შორის ნაცნობიც აღმოჩნდა.

— მიცანით? — ეკითხება სტუმარს საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი ე. საყვარელიძე.

— ნაცნობი სახეა, მაგრამ კარგად არ გახსოვს?

— შარშან თქვენთან ვიყავი პრაღაში, ჩვენი სპექტაკლიდან გადმოგეცით ფოტოსურათები, სადაც მე სცენაზე თქვენ გასახიერებდით. ეს იყო სოხუმის თეატრში წარმოდგენილი ი. ბურიაკოვსკის სპექტაკლი „პრაღა რჩება ჩემი".

— დიახ, გაგახსენდა. მე თქვენ ფუჩიკის მედალიც გაჩუქეთ.

გუსტასთან სხვებიც მიდიან. სოხოვენ ეწვიოს მათ ინსტიტუტში, პიონერთა სასახლეში, სკოლაში. ყველას სურს ახლოს გაიცნოს იულიუს ფუჩიკის ერთგული მეგობარი, მოისმინოს მისი საუბარი.

გუსტა ფუჩიკოვას ბიოგრაფიული ცნობები გასაცნობად საკმარისია წაიკითხოთ იულიუს ფუჩიკის „რეპორტაჟი სასრჩობელადან", სადაც იგი გულთბილ სტრიქონებს უძღვნის მას. „აი ის, ჩემი მებრძოლი მეგობარი!" რამდენი ძალაა ამ პატარა, მკვეთრნაკვთებიანი სახის ქალში, რამდენი სინაზეა მის დიდ ბავშვურ თვალებში!... ის იყო ჩემი პირველი მკითხველი და კრიტიკოსი, მთელი წლების მანძილზე ჩვენ ვებრძოდით მხარდამხარ — ბრძოლა კი ბევრი გადავიტანეთ".

გუსტა ფუჩიკოვა ბევრი აწამეს ფაშისტებმა. ის, მრავალი სატუსაღოს გავლის შემდეგ, მოსვდა რავენსბრიუკის ქალთა საკონცენტრაციო ბანაკში. 1945 წელს ჰიტლერული გერმანიის დამარცხების შემდეგ გუსტა ახერხებს სამშობლოში დაბრუნებას. მთელი შემდეგი მისი მოღვაწეობა დაკავშირებულია ფუჩიკის ნაწარმოებების გამოცემასთან. იგი ამავე დროს როგორც მშვიდობისათვის აქტიური მებრძოლი მოგზაურობს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში.

— მერამდენჯერ ხართ საბჭოთა კავშირში? რას გვეტყვით ფუჩიკის ნაწარმოებების გამოცემაზე? როგორია პირველი თქვენი შთაბეჭდილება ჩვენს ქალაქზე, ჩვენს ხალხზე? ვეკითხებით ძვირფას სტუმარს.

— საბჭოთა კავშირში წელს მერვედ ჩამოვედი. პირადად ამ ოცდათორმეტი წლის წინათ ვიყავი, მაშინ ჩეხოსლოვაკიის ახალგაზრდობის დელეგაციას ვუხელდი. იულიუმ (ასე ეძახდა იგი ქმარს) ვერ მოახერხა პასპორტის შოვნა, რომ ჩემთან ერთად წამოსულიყო. იგი მხოლოდ 1930 წელს ეწვია საბჭოთა კავშირს, მაშინაც უპასპორტოდ გადმოვიდა საზღვარს. მე კი მეორედ 1935 წელს ჩამოვედი. იმ წელს იულიუკი საბჭოთა კავშირში იყო და მასთან ერთად ვიმოგზაურე მოსკოვში, ლენინგრადში, უკრაინაში, დონბასში, ყირიმში: მეკამედ კი, 1949 წელს უკვე მარტო ჩამოვედი. ჩემი მეგობარი აღარ მასლდა. მე მიყვარს საბჭოთა კავშირი, ის ჩემი მეორე სამშობლოა.

სსრ კავშირის ბევრ რესპუბლიკაში ვყოფილვარ და ძალიან მწყდება გული, რომ ასე გვიან მომიხდა თქვენი ლამაზი რესპუბლიკის გაცნობა. მე უკვე ვნახე თბილისის ღირსშესანიშნავი ადგილები, ვიყავი მცხეთაში, სადაც გავეცანი ისტორიულ ძეგლებს, შევხვდი ქართველ მოღვაწეებს. აღტაცებული ვარ ყოველივე ნახულით, განსაკუთრებით კი ადამიანებით, რომლებიც ასე გულთბილად მხვდებიან.

საყვარელი ამხანაგის დაკარგვის შემდეგ ჩემი ცხოვრების ძირითადი მიზანი იყო ამესრულებინა ფუჩიკის უკანასკნელი თხოვნა, მისი ანდერძი. იგი ითხოვდა გამომეცა მისი ნაწარმოებები, რომლებიც დაბეჭდილი იყო სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში. შემიძლია ვთქვა, რომ იულიუს შეგუარუდე ეს თხოვნა. შევაგროვე მისი პუბლიცისტური წერილები, ნარკვევები, ლიტერატურული და თეატრალური წერილები, ეტიუდები. დღეისათვის გამოცემულია ი. ფუჩიკის ნაწარმოებთა 11 ტომი. მეთორმეტე ტომი გამოვა 1963 წლის თებერვალში, ფუჩიკის დაბადების 60 წლისთავის აღსანიშნავად გამოსაცემად მოვამზადე აგრეთვე ჩემი წიგნი „მოგონებანი იულიუს ფუჩიკზე".

ჩემი, ისევე როგორც ბევრი ჩემისთანა ქალის, ძირითადი მიზანია ვებრძოლოთ საძულველი ომის წინააღმდეგ, ვებრძოლოთ ომისათვის, რომ ადამიანებმა ადარ განიცადონ ის საშინელი წამება და ტანჯვა, რაც ჩვენ გადაგვხვდა. დაე მშვიდობა, ძმობა და მეგობრობა სუფევდეს მთელ დედამიწაზე.

ლ. ხუბულური.

• • •

სურათზე: გ. ფუჩიკოვა (მარცხნივ) და ე. საყვარელიძე.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

გაზაფხული თბილისში.

ნახ. ლ. კაიდარაშვილისა.

ჩვენი მოცეკვავეები აზიასაც იპყრობენ

დელი, 22 მარტი. (საკდესი). უდიდესი წარმატებით გრძელდება ინდოეთში საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის გასტროლები. გაზეთი „ფრანბრეს ჯორნელი" აღნიშნავს, რომ საბჭოთა მსახიობების ოსტატობა „დიდი ხელოვნების განსახიერებაა". გაზეთი წერს:

„დიდებულმა, მგზნებარე და ლაღმა ქართულმა ცეკვებმა დაატყვევეს აუდიტორია, და ეს მოჯადოება გაძლიერებული იყო სავსე მთვარის მომბიბვლელობით. თითქმის იდილიურმა მხატვრულმა გაფორმებამ და წმინდა პოეზიამ, რომლითაც გამსჭვალული იყო ცეკვის ყოველი მოძრაობა, დაათრო მაყურებლები.

ზედიზედ მიყოლებულმა ცეკვებმა ახალი მასშტაბი მისცეს სცენურ ხელოვნებას. ქორეოგრაფია უნაკლო იყო, ხოლო მთელი სპექტაკლის სული — მუსიკა — დაუვიწყარ სიამოვნებას გვანიჭებდა. მუსიკა რიტმით შერწყმული იყო მოცეკვავეთა მოძრაობის გამოჭხატველობასთან; ჩვეულებრივი დოლები და აკორდეონთა მომბიბვლელი ხმები გვიხატავდნენ საქართველოს მთელ ღვთაებრივ ბუნებრივ სილამაზეს. დოლებმა, რომლებიც აღვიძებდნენ ინდოელთა მოგონებებს, სალამურებმა, აღმოსავლური ფანტაზია რომ დაგვიხატეს. წამსვე მოგვაგონეს გამომხატველი პენჯაბური ცეკვა „ბჰანგრა". უსამართლო იქნებოდა გამოგვეყო მთელი პროგრამის რომელიმე ნომერი. მთელი ანსამბლი კოლექტიური შრომის გამოხატულებაა. ქართველებმა ჩაგვაბეს თავიანთი ფანტასტიკური და ამავე დროს გასაგები ცეკვების გრიგალში, ამ დასს არ შეუძლია არ დაატყვევოს მაყურებელი. და თუ კი ვინმე, ვისაც აქვს თვალები, რომ ხედავდეს, და ყურები, რომ ისმენდეს, არ დაესწრება ამ წარმოდგენას, იგი ბევრ რამეს დაკარგავს".

• • •

ბუშინ ჩვენი გაზეთის რედაქციამ ინდოეთიდან მიიღო პაკეტი იქაური გაზეთებით, რომლებშიც გამოქვეყნებულია რეცენზიები.

გაზეთი „ტაიმს ინდია" ათავსებს რეცენზიას სათაურით: „სიმამაცისა და გრაციის სანახაობა". აქ ვკითხულობთ:

„გასაოცარი სისწრაფე, სიმამაცე და არაჩვეულებრივი გრაციულობა იყო წარმოდგენილი პარასკევს ეროვნულ სტადიონზე საქართველოს ცეკვის ანსამბლის მიერ. ათლეტ მამაკაცთა სწრაფი მოძრაობანი ენერგიული და ნაირფეროვანი იყო. სწრაფი მოძრაობით და ეფექტური ტანოებით ისინი გვიხატავენ მამაც ქართველ ხალს. ჯაჭთა ყოველი მოძრაობა, მუხლებზეც კი, ძალიან სწრაფია. სამრძოლო ცეკვებში ისინი დაფრინავენ და ერთმანეთს ხმლებით ებრძვიან.

თავიანთი ბრწყინვალე ცეკვის შემდეგ რაინდი მამაკაცები გამოდიან ქალების თანხლებით. კონტრასტი გასაოცარია. ქართველ ქალთა ყოველი მოძრაობა მომხიბლავია. დამახასიათებელი იყო ცეკვა „ნარნარი", რომლის დროსაც ისინი თითქოს დასრიალებენ სცენაზე. მათი ხელის მოძრაობანი უნაზესია.

„ქართული ხალხური ცეკვები გასაოცარია" — ასეთი სათაურით დაბეჭდა წერილი გაზეთმა „ᲘᲜᲓᲘᲐᲜ ᲔᲥᲡᲞᲠᲔᲡᲘ". რეცენზენტი ვრცელ წერილში წერს: დასამახსოვრებელი წარმოდგენით გახსნა დღეს ქართული ცეკვების ანსამბლმა თავისი ტურნე ინდოეთში. მან ეროვნულ სტადიონზე მოიტანა კავკასიის მთებისა და ველების სურნელება.

ყველა ხალხური ცეკვის მსგავსად ქართული ცეკვებიც თავიანთ თემებს იღებენ ბალადებიდან, რომლებსაც ასრულებენ მამაცი ჯეკაცები და გრაციოზული ქალები, გამოხატავენ ბრძოლასა და სიყვარულს. არის აგრეთვე აკრობატული ცეკვები და კომიკური ცხენოსნური ცეკვა.

ნელიდან სწრაფზე გადასვლა, გრაციული სრიალი და ფანტასტიკური ხტომები, ფეხებით შესანიშნავი თამაში საუცხოოდ არის წარმოდგენილი. მსახიობები შესანიშნავი ოსტატები არიან.

„ენერგია, ძალა, ბრწყინვალება და მრავალფეროვნება ქართული ცეკვების პროგრამაში" — ასე უწოდა გაზეთმა „ᲡᲢᲔᲢᲡᲛᲔᲜᲘᲐ" ქართველ მოცეკვავეთა პირველ კონცერტს. საქართველოს ცეკვის ანსამბლმა პირველი წარმოდგენა გვიჩვენა პარასკევს ღამით ეროვნულ სტადიონზე. მათ გააოცეს უზარმაზარი აუდიტორია თავიანთი ქორეოგრაფიის მრავალფეროვნებით, ჯაჭთა ენერგიული და ვირტუოზული ცეკვებით, ქალთა ელეგანტურობითა და გრაციით".

• • •

სურათზე: ინდოეთის პრემიერ-მინისტრი ნერუ კულტურისა და მეცნიერების მინისტრი ჰ. კაბირი და ი. სუხიშვილი ანსამბლთან ერთად კონცერტის შემდეგ დელიში ეროვნულ სტადიონზე.

Nejvýznamnější časopis „Komunista" s upřímným přáním všeho dobra a mnoho úspěchů v životě i v práci vrací přítel SSSR Gustě Fučíkové.

Tbilisi 23.3.62

გაზეთ „კომუნისტის" საყვარელ მკითხველებს წრფელი გულით გისურვებთ ყოველივე კარგს, დიდ წარმატებებს ცხოვრებაში და შრომაში.

სსრ კავშირის ერთგული მეგობარი

გუსტა ფუჩიკოვა.

თბილისი 23. 3. 62.

ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ ᲕᲘᲪᲝᲓᲔᲗ

ᲫᲘᲚᲘᲡ ᲡᲬᲐᲕᲚᲐ

შეიძლება თუ არა ახალი ცოდნა მიიღო ძილში? ჯერ კიდევ მცირე ხნის წინათ ეს ფანტასტიკად ეჩვენებოდათ. მაგრამ მეცნიერთა უკანასკნელმა შრომებმა ასეთი შესაძლებლობა დაადასტურა.

მოიწყო იმის ცდები, რომ ადამიანებს უცხო ენები ასწავლოს ძილში. ახალი ცოდნის შეთვისება მიმდინარეობდა სწრაფად და მოსწავლეთა ჯანმრთელობის დაუზიანებლად. გამარტივებული ფორმით ეს ასე ხდება: მძინარე ადამიანს წიგნს უკითხავენ და წაკითხულს რამდენჯერმე უმეორებენ. დილით იგი იღვიძებს ახალი ცოდნით, თუმცა არ ესმის, სად შეიძინა ეს ცოდნა. წამკითხველის შეცვლა წარმატებით შეუძლია მაგნიტოფონს.

„მეტყველების შეთვისება ბუნებრივი ძილის დროს" — სწორედ ასე ეწოდება პირველ მეცნიერულ ნაშრომს სსრ კავშირში, მიძღვნილს ჰიპნოთესიის საკითხებისადმი. იგი დასაბეჭდად მოამზადა ყაზახეთის მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობამ. ნაშრომის ავტორია ყარაგანდელი მეცნიერი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი აბრამ სვიატოში, რომელმაც ამ პრობლემის დამუშავებას 25 წელი მოანდომა.

იმ საკითხის გადასაწყვეტად, თუ პრაქტიკულად როგორ გამოვიყენოთ ეს მეთოდი, საჭიროა გამოვარკვიოთ, როგორ იღლება ტვინი ძილის დროს მეტყველების აღქმისას. მრავალი წლის ცდების წინასწარი მონაცემები მოწმობენ, რომ ძილში სწავლების დროს ტვინი უფრო ნაკლებად იღლება, ვიდრე ასეთივე შესასწავლი ტექსტის ჩვეულებრივად აღქმისას.

იმ ფსიქიატრების დასკვნები, რომლებიც ახალ საინტერესო პრობლემაზე მუშაობენ, ჯერ კიდევ საბოლოო არ არის. მაგრამ საფუძველი გვაქვს იმედი ვიქონიოთ, რომ ჰიპნოთეზია გაფაროთებს ადამიანის შესაძლებლობებს იმ მხრივ, რომ ახალმა თაობებმა სწრაფად აითვისონ მეცნიერების მიერ დაგროვებული ცოდნა.

ყაზახი მეცნიერის ნაშრომმა დიდი ინტერესი გამოიწვია საზღვარგარეთ.

საგენტო „ახალი ამბები".

ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ ᲮᲔᲚᲒᲣᲠᲗᲨᲘ

დღეს ჩვენი ქვეყნის ქალაქებში — მოსკოვში, თბილისსა და ლვოვში დაიწყება ზონალური ასპარეზობა ხელბურთში (7×7) სსრ კავშირის პირველობაზე. ეს იქნება პირველი ჩემპიონატი როგორც ქალთა, ისე ვაჟთა გუნდებისათვის.

ზონალური ასპარეზობა გამოავლენს რვა-რვა უძლიერეს კოლექტივს, რომლებმაც უნდა გაითამაშონ ფინალი. დასკვნითი ასპარეზობა გაიმართება კაუნასში 5 აპრილიდან.

თბილისის ზონაში გამოვლენ მოსკოვის, საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთის, ყირგიზეთისა და თურქმენეთის ქალთა და ვაჟთა უძლიერესი კოლექტივები. თბილისის ზონაში ვაჟთა გუნდებს შორის მთავარი მეტოქეები არიან მოსკოვის „ტრუდისა" და თბილისის „ბურევესტნიკის" გუნდები.

ᲙᲝᲛᲔᲜᲘᲢᲘᲡ ᲞᲝᲠᲢᲤᲝᲚᲘᲝ

გუშინ სპორტის სასახლეში შედგა პოლონეთის „გვარდიისა" და თბილისის კლასიკურ მოჭიდავეთა საერთაშორისო მატჩი.

გუნდურ შეჯიბრებაში ჩასათვლელ პირველ ორ წყვილში ფესვრებულ იქნა ფრე. ეს წყვილები იყვნენ დ. ჯანაშვილი-ს. ჰაიდუკი (უმჩატესი წონა) და ზ. უგრეხელიძე-ი. ვანატი (მრატე წონა).

მორიგ წყვილთა ასპარეზობი აღინიშნა თბილისის გუნდის წარმომადგენლის რ. რურუას წარმატებით. მან აქტიურად ჩაატარა ბრძოლა ვ. ოდინსკის წინააღმდეგ და გაიმარჯვა ქულებით. მსუბუქ წონაში

ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘ

„ᲑᲣᲠᲔᲕᲔᲡᲢᲜᲘᲙᲘᲡ" ᲬᲐᲠᲣᲛᲐᲢᲔᲑᲚᲝᲑᲐ

საკავშირო ჩემპიონატის დასკვნითი ტურნირის პირველი წრე კალათბურთში ვაჟთა გუნდებისათვის დასასრულს უახლოვდება. მორიგი მატჩი გაიმართა 22 მარტს თბილისის სპორტის სასახლეში ადგილობრივი „ბურევესტნიკისა" და მოსკოვის „დინამოს" გუნდებს შორის.

ბრძოლა თავიდანვე შეუპოვარი იყო. ინიციატივა ხელიდან-ხელში გადადიოდა. ამაზე ისიც მეტყველებს, რომ მატჩის მსვლელობაში ანგარიში ხშირად თანაბარი იყო. სტუმრებში განსაკუთრებით გამოირჩეოდა მაღალი ტანის კალათბურთელი ა. პეტროვი, რომელმაც თავის გუნდს 35 ქულა მოუტანა.

მეორე ტაიმში ა. პეტროვმა ხუთი პერსონალური შენიშვნა მიიღო და მოედანი დატოვა. ეს მოხდა თამაშის დამთავრებამდე 7 წუთით ადრე. მოსალოდნელი იყო, რომ ამის შემდეგ, თბილისელები შედარებით ადვილად გაუსწორდებოდნენ მეტოქეს, მაგრამ ეს არ მოხდა. დინამოელებმა კიდევ უფრო გაზარდეს ქულათა სხვაობა და გაიმარჯვეს ანგარიშით 86 : 79.

მორიგ შეხვედრას მოსკოვის დინამოელები გამართავენ 24 მარტს თავიანთ თბილისელ თანაკლუბელებთან.

Მ. ᲑᲝᲢᲕᲘᲜᲘᲙᲘ ᲐᲛᲑᲝᲑᲡ...

მოსკოვი, 22 მარტი. (საკდესი). მსოფლიო ჩემპიონი ჭადრაკში მიხეილ ბოტვინიკი 21 მარტს აქ შეხვდა ძველი თამაშის მოყვარულებს. ზეპირ საჭადრაკო ჟურნალში „ადამიანები, ამბები, წლები" მას დაეთმო პირველი „გვერდი". სხვათაშორის, ბოტვინიკმა მეტად შეაქო ინგლისელი ოსტატის ლიტლუოდის თამაში, რომელსაც შეხვდა ჰასტინგში გამართულ საერთაშორისო ტურნირზე.

ჭადრაკის ბევრმა მოყვარულმა ჩაიწერა ბლოკნოტში მათი საინტერესო პარტია, რომელიც მსოფლიო ჩემპიონმა მოიგო.

ჟურნალში გამოვიდნენ აგრეთვე ცნობილი რადიოკომენტატორი, ჭადრაკის დიდი მოყვარული ვადიმ სინიავსკი, სპორტული სიარულის ოსტატი სერგი ლობასტოვი, რომელსაც თავიუფალ საათებში უყვარს ფიქრი საჭადრაკო დაფასთან და სხვები.

გროსმაისტერმა ა. კოტოვმა ილაპარაკა თავის შთაბეჭდილებებზე სხვადასხვა ქვეყნის მოჭადრაკეთა ბრძოლის შესახებ სტოკჰოლმის საზონათშორისო ტურნირში, დაახასიათა პრეტენდენტთა მომავალი ტურნირის მონაწილენი.

—პირველი ადგილისათვის ბრძოლა,— თქვა გროსმაისტერმა, — მეტად შეუპოვარი იქნება. კიორასაოს შორეულ კუნძულზე შეხვდებიან ერთმანეთს სამი ქვეყნის — სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ჩეხოსლოვაკიის მოჭადრაკეები. მაგრამ შეიძლება გარკვევით ითქვას, რომ ლიდერობისათვის იბრძოლებენ ხუთი საბჭოთა მოჭადრაკე და ახალგაზრდა ამერიკელი ჩემპიონი რობერტ ფიშერი.

კოტოვის აზრით, ფიშერი ახლა კარგ ფორმაშია, იგი სამართლიანად შეიძლება მივაკუთვნოთ მსოფლიოს ხუთ უძლიერეს გროსმაისტერთა რიცხვს.

— ფიშერი სწავლობს რუსულ ენას, —შენიშნა კოტოვმა, — მას სურს დედნის მიხედვით შეისწავლოს საბჭოთა ჭადრაკის ლიტერატურა. იგი მას ბევრ რამეში დაეხმარება.

ახალი იყო ზეპირი ჟურნალის პირველი გამოშვება, რომელიც სსრ კავშირის ცენტრალურმა საჭადრაკო კლუბმა მოაწყო.

ეს ჟურნალი ყოველთვიურად გამოვა.

ᲙᲝᲛᲔᲜᲘᲢᲘᲡ ᲞᲝᲠᲢᲤᲝᲚᲘᲝ

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚ ᲛᲝᲭᲘᲭᲐᲕᲗᲐ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ

დ. გვანცელაძის უპირატესობა აშკარა იყო კ. კაციოხის წინააღმდეგ, მაგრამ მან ვერ შეძლო წმინდა გამარჯვების მოპოვება და ქულებით მოგების დასაჯერდა.

ქვესაშუალო და საშუალო წონაში ჩვენი გუნდის სპორტულ ღირსების იცავდნენ დ. დათუსანი და ფ. გელესიანი. აქაც სტუმრების ყოველგვარ ცდას, მეღონიათ წარმატებისათვის, სასურველი შედეგი არ მოუცია. ი. ტარაცევსკიმ და ს. ანტკოვიაკმა შეხვედრა წააგეს ქულებით.

დიდხანს არ გაგრძელებულა ქვეძმე ფონის მოჭიდავეთა შეხვედრა. რ. ბაბაშიძემ დასაწყისშივე შესანიშნავი ილეთით ხალიჩაზე ორივე ბეჭით მიაკრა მ. რავსკი. მძიმე წონაში პოლონელებს მოწინააღმდეგე არ გამოუყენიათ.

ამრიგად, პოლონეთის „გვარდიისა" და თბილისელ მოჭიდავეთა საერთაშორისო ამხანაგური მატჩი დამთავრდა ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელთა გამარჯვებით ანგარიშით 7:1.

რედაქტორი

დ. მჟელლიშვილი.

„ᲑᲣᲠᲔᲕᲔᲡᲢᲜᲘᲙᲘᲡ" ᲡᲢᲐᲓᲘᲝᲜᲘ

(ვაკე)

25 მარტს

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

„ა" კლასის ოსტატ ვეხბურთელთა გუნდების ამხანაგური საკონტროლო შეხვედრა.

„ᲓᲘᲜᲐᲛᲝ" (თბილისი) — **„ᲓᲘᲜᲐᲛᲝ"** (კიევი)

დასაწყისი 16 საათზე.

ბილეთები წინასწარ გაიყიდება 24 მარტს დილის 10 საათიდან „ბურევესტნიკის" და „დინამოს" სტადიონებისა და კიროვის სახელობის პარკის სალაროებში.

24 ᲛᲐᲠᲢᲘ

ᲗᲔᲐᲢᲠᲔᲑᲘ: **ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის** — ევგენი ონეგინი (დღისით), ბოიკემა (საღამოს, მე-8 წარმ.), **რუსთაველის სახელობის**—ბახტრიონი, **მარჯანიშვილის სახელობის**—ბაბთიანი ვოგონა (პრემიერა), **გრიბოედოვის სახელობის** — თეთრ ღამეებთან გამოთხოვება (დღისით), ბებერი სულელი (საღამოს), **ვახო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის** — მეკარე (დღისით), შავი ზღვა და თეთრი ღამეები (საღამოს).

ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ: 18.00 — ყველაზე პატარებისათვის — „სახალისო ანბანი", 18.20 — გადაცემა მოსწავლეთათვის — „პიონერული ახალი ამბები", 18.40 — კინონარკვევი, 19.00 — რეპორტაჟი „სტუმრად მთავარ არქიტექტორთან", 19.30 — მოკლემეტრაჟიანი ფილმი, 19.50 — კულტურის ტელეუნივერსიტეტი, 20.10 — კინოჟურნალი, 20.20 — ახალი ამბები, 20.35 — მხატვრული ფილმი „ქალიშვილობის წლები", ფილმის შემდეგ — საცეკვაო მუსიკის კონცერტი.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ:

თბილისი, ლენინის 14, ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 1-63-03, 8-08-67, პასუხისმგებელი მდივნის — 1-72-80, სამდივნოსი — 8-46-10, განყოფილებებისა, პარტიულ ცხოვრების, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 1-57-61, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პრობაგანდის — 8-22-89, სოფლის მეურნეობის — 8-32-46, საბჭოთა მშენებლობის, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 8-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების, ინფორმაციის — 8-16-90, წერილების — 1-78-24, უცხოეთის — 8-85-01, საილუსტრაციო — 8-20-48, განცხადებების მიღების — 1-64-42.

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲘᲡ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲐ

ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ

საავადმყოფოდან ახლად დაბრუნებულ ვახტანგ მახარობლიშვილს პერანგის ორი ზედა ღილი შეეხსნა და დერეფანში ქმაყოფილი გამომეტყველებით მიმდიოდა.

— რაშია საქმე, ვახტანგ? — კეითხე, — გეტყობა, რაღაც სასიხარულო ამბავი იცი...

— დიახ, დიდ სიხარულს განვიცდი, — შემაწყვეტინა სიტყვა, მოაჯირიდან გაიშვირა ხელი, წვიმის წყალი ხელის გულში დაიგუბა, შეიშხაპუნა სახეზე და ალტაცებულმა განაგრძო: — გესმის, ოთარ, რა კეთილშობილ საქმეს ვემსახურები? ღღეს ერთი წელი შემისრულდა, რაც დუშეთის რაიონში ვარ და ეს ავადმყოფს გავუკეთე ოპერაცია. ყველანი ჯანმრთელად არიან, შრომობენ და მადლობას მითვლიან. პირველად არ მსურდა სოფლად წამოსვლა, მაგრამ ახლა დიდად ქმაყოფილი ვარ, უკვე დამოუკიდებლად ვმუშაობ! ხომ გესმის, რას ნიშნავს ეს?

— მესმის, როგორ არ მესმის, — მივუგე.

— ნუ გეწყინება, მაგრამ არა, შენ ვერ გაიგებ ისე, როგორც საჭიროა. დასტაქარს ვაზის მსხვლელს ვერ შეადარებ. რჭა საოაც უნდა მოსჭრა, ვაზი მაინც იხარებს, სამაგიეროს ვამოისხამს. ადამიანთან კი ასეთი ვარჯიში არ გამოდგება, — ხელები მხრების სიგანეზე მეტად გაშალა, შემომხედა და გაიღიმა; — ოთარ, ეს დერეფანი, ეთქვათ საოპერაციო ოთახია, შემოიყვანეს ავადმყოფი. დახედავ მის მიმქრალ სახეს. ხმას არ იღებს, მხოლოდ შემოგცქერის და შეეშალ გეგვიდრება. აღგეძვრება სიბრალული, იმედს მისცემ, ანუგეშებ. კმაყოფილი ავადმყოფი მილოლავს თვალებს და გიცდის როდის ეკაკეთო. იცი, რომ გარეთ ავადმყოფის ახლობლები იცდიან და „მათ შენი ცოდნისა და მარჯვენის იმედი აქვთ. ახლა გესმის, ჩემო მეგობარო, რას ნიშნავს იყო ექიმი და ისიც დასტაქარი?

...კარგა ხნის საუბრის შემდეგ შეედით ოთახში.

ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒᲘ დასაძინებლად დაწვა. მეც ის იყო დაწოლას ვაპირებდი, რომ დერეფანში აჩქარებული ფეხის ბაკუნი შემომესმა და ქალის საგანგაშო ძახილიც გაისმა:

— ვახტანგ, პატივცემულო ვახტანგ! სანამ კარს გავაღებდი და ქალს ამბავს ეკითხავდი, ვახტანგმა დამასწრო:

— რა მოხდა, მარგო?

— სოფელ დავათიდან მწყემსი ჩამოიყვანეს, სუნთქვა უჭირს, სასწრაფო დახმარება ესაჭიროება!

— რაო, რას უჩივის?

— მორიგე ექიმმა თქვა, გაუვალობის მოვლენები აქვსო.

მარგო! ახლავე შეატყობინეთ დამხმარე დასტაქარს და საავადმყოფოს თერაპევტს. მოამზადეთ საოპერაციო ოთახი.

...კონსილიუმის შედეგად დადგინდა, რომ ავადმყოფს ჰქონდა ნაწლავების სამი დღის ხანგრძლივობის გადახლართვა, რომელიც გართულებული იყო მუცლის ფარის ანთებით, გადაწყდა სასწრაფო ოპერირება.

საოპერაციო მაგიდას შემორტყმული ჯანმრთელობის დაცვის მუშაკები, დოლბანდის პირბადეამოკრულები, თავიანთ ფუნქციებს ასრულებდნენ. ავადმყოფი დიდხანს კვნესოდა, გმინავდა, მაგრამ ნარკოზის გავლენით თანდათან ეხუეებოდა თვალები და ბოლოს ჩაეძინა კიდეც.

— სკალპელი! — გაისმა ვახტანგის ხმა.

თითქმის ყველამ სუნთქვა შეწყვიტა. ვახტანგმა სკალპელი მუცლის შუა არეს რომ გაუსწორა, შევკრწუნდი, თვალები დავხუჭე, მაგრამ გულმა არ მომითმინა და მალულად თითებშუა მაინც გავიხედე, და რას ვხედავ, მუცლიდან გადმოიმალა გაბერილი ნაწლავები, რომელთა მოზრდილი ნაწილი გაშავებულიყო. ვეღარ გავუსწორე თვალი — და კუთხეში მივდექი.

არ ვიცი, რამდენმა დრომ გახვლო, რომ ვახტანგმა მხარზე დამადო ხელი და თითქმის დაცინვით მითხრა.

— რა წიწილასავით აბუზულხარ, ოპერაცია რახანია დამთავრდა!

ᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲘ პალატაში გაიყვანეს. ვახტანგს კოლეგები რთული ოპერაციის წარმატებით გაკეთებას ულოცავდნენ...

მაგრამ მილოცვა ნაადრევი გამოდგა. ოპერაციიდან ათიოდე წუთის შემდეგ, სწორედ იმ დროს, როცა მე და ვახტანგი სახლში წამოსასვლელად ემზადებოდით, სამორიგეოში დამხმარე დასტაქარი ირაკლი ხოსტაშვილი შემოვარდა, კარებში შეჩერდა და გაფითრებულმა წაილულღლუღა:

— ავადმყოფი გარდაიცვალა!

...სიწოლზე იწვა გალურჯებული და გაცივებული ადამიანი. პულსი აღარ ისინჯებოდა არც მაჯაზე და არც კისრის მიდამოებზე (საძილე არტერიაზე).

ვახტანგმა გულმკერდზე ყური დაადო, ნერვიულობისაგან სახეზე ნაკვთები უკოროდა.

— დავიჯერო, წყალში ჩაიყარა ჩვენი შრომა? — სინანულით თქვა ვახტანგმა.

დამბმარე დასტაქარი ავადმყოფს ხელოვნურ სუნთქვას უკეთებდა. ვახტანგი კი კვლავ ერთ წერტილს მისჩ